8 აგვისტო ფიზკულტურელის საკავშირო დღეა

სალამი ჩვენს სახელოვან ფიზკულტურელებს!

დიდება საბჭოთა სპორტსმენებს!

ნახ. ბ. იაშვილისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 184 (13000) | შაბათი, 8 აგვისტო, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

ენერგიის, მხნეობის წყარო

დღეს ხეჭაბუკის, ძალღონისა და სილამაზის დღესასწაულია — ფიზკულტურელის საკავშირო დღე! ზეიმობს საბჭოთა კავშირის სპორტსმენთა 38-მილიონიანი არმია, ზეიმობს ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი.

არც ერთ ქვეყანაში არ არის სპორტი ისე მასობრივი, როგორც ჩვენში. საკმარისია დავასახელოთ რამდენიმე ციფრი: დღეისათვის სსრ კავშირში მომზადებულია 26 მილიონი მშთ ნიშნოსანი, 16,5 მილიონი თანრიგოსანი, მათ შორის 22 ათასი სპორტის ოსტატი და 310 ათასი პირველთანრიგოსანი სპორტსმენი. მარტო საქართველოს სს რესპუბლიკაში მუშაობს 6.318 ფიზკულტურული კოლექტივი, რომლებშიც გაერთიანებულია 800 ათასზე მეტი სპორტსმენი. რესპუბლიკაში ამჟამად არის 31 ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე. 80 — სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, 138 — სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

ეს მთელი არმიაა, ჩვენი ნათელი მომავლის — კომუნიზმის მშენებელი კუნთმაგარი ახალგაზრდობაა.

რამდენჯერ უსახელებიათ მათ სამშობლო ქვეყანა შესანიშნავი რეკორდებით, ბრწყინვალე გამარჯვებები მოუპოვებიათ ძნელ და პასუხსაგებ შეჯიბრებებში. მარტო საქართველოს სპორტსმენებმა 1963 წელს დაამყარეს 231 რესპუბლიკური, 3 საკავშირო და 1 მსოფლიო რეკორდი. ეს ყველაფერი სისტემატური და დაუღალავი ვარჯიშის, დიდი შრომისა და მონდომების შედეგია.

ჩვენს ქვეყანაში ყოველ სპორტულ კოლექტივს ორგანული კავშირი აქვს შრომითს კოლექტივებთან... სპორტი გადაქცეულია ნებისყოფის, ვაჟკაცობისა და ძალღონის განვითარების მძლავრ ფაქტორად.

ამჟამად საქართველოს სპორტული კოლექტივები ენერგიულად იბრძვიან, რომ 1964 წლის ბოლოსათვის შეასრულონ ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების შვიდწლიანი გეგმა. ეს ნიშნავს: გადიდდეს ფიზკულტურელთა რაოდენობა რესპუბლიკაში 900 ათას კაცამდე, მომზადდეს: 300 სპორტის ოსტატი, ორი ათასი პირველთანრიგოსანი, 57 ათასი II, III და მოზარდთა თანრიგის სპორტსმენები, ასი ათასი მშთ ნიშნოსანი.

ამოცანა სერიოზულია. ძირეულმა ფიზკულტურულმა კოლექტივებმა პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ენერგიულად და ნაყოფიერად უნდა იმუშაონ ამ საპატიო ვალდებულებათა შესასრულებლად.

წელს ჭაბუკობის, ძალღონისა და სილამაზის ზეიმზე საბჭოთა სპორტსმენები შესანიშნავი წარმატებებით მოვიდნენ. ბევრ მათგანს მკერდს უმშვენებს ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები. მაგრამ "ყოველივე" ეს წარსული სპორტული ბრძოლების მონაპოვარია. ამჟამად ასაღებია ახალი „ოლიმპიური ზღუდე" — ტოკიო!

ჩვენი სპორტსმენები ეზრგიულად იმზადებიან ამ დიდი გამოცდისათვის. საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების გუნდი შედგება სახელმოხვეჭილი სპორტსმენებისაგან, რომლებმაც მრავალჯერ ასახელეს სამშობლო, მტკიცედ დაიცვეს საბჭოთა სპორტის სახელი და დიდება.

საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების წევრობის კანდიდატობის უფლება მოიპოვა საქართველოს ორმოცზე მეტმა სპორტსმენმა. ეს საპატიო, მაგრამ ამავე დროს ფრიად პასუხსაგები საქმეა.

— გვინდა დავიცვათ ჩვენი დიადი სამშობლოს ღირსება და ამით სათანადო წვლილი შევიტანოთ საბჭოთა სპორტის წინსვლის საქმეში, — ასე ამბობენ ოლიმპიურ ასპარეზობაზე შერჩეული სპორტსმენები. ვუსურვოთ მათ მაღალი წარმატებები, სპორტული დიდების მწვერვალთა დაპყრობა!

მოგილოცავთ ფიზკულტურელის საკავშირო დღეს, ძვირფასო მეგობრებო!

ᲛᲮᲐᲠᲡ ᲣᲭᲔᲠᲔᲜ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐᲡ

მოსკოვის თხუთმეტმა საწარმომ — ქარხნებმა „წითელმა პროლეტარმა", „კალიბრმა", „მოსკოვკაბელმა" კუნცევოს სართავგამომყვანმა და სხვა ფაბრიკებმა გადაწყვიტეს 1964-1966 წლებში რენტაბელური, ესე იგი მომგებიანი გახადონ ყველა გამოშვებული ნაკეთობა.

მოსკოვის სახალხო მეურნეობის საბჭომ მოიწონა ეს მნიშვნელოვანი თაოსნობა და ახორციელებს ღონისძიებებს, რათა გაავრცელოს ეს თაოსნობა ყველა საწარმოში, სადაც ჯერ კიდევ მზადდება ზარალიანი ნაკეთობანი. სახალხო მეურნეობის საბჭოს, დარგობრივ სამმართველოთა უფროსებს, ქარხნებისა და ფაბრიკების ხელმძღვანელებს წინადადება მიეცათ შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც საშუალებას მისცემს მათ სამი წლის მანძილზე რენტაბელური გახადონ მთელი პროდუქცია.

მოსკოველთა ახალი ინიციატივა გაგრძელებაა იმ დიდი მუშაობისა წარმოების ეკონომიკის გაუმჯობესებისათვის, რაც აქტიურად ხორციელდება მოსკოვის საწარმოებში უკანასკნელ ხანს. (საკ.).

ᲚᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲯᲘᲚᲓᲝ

ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲓᲐ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ

სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოვა ლენინის ორდენით. (საკ.).

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაში აქტიური მონაწილეობისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება:

1. **ამნიაშვილს** მიხეილ გიორგის-ძეს — საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს „დინამოს" განყოფილების უფროსს.
2. **ანშბას** ზალატინსა ჩუორის-ძეს — გუდაუთის საკოლმეურნეობათაშორისო საცხენოსნო სპორტული სკოლის უფროსს.
3. **დიდიძეს** ვახტანგ ერმილეს-ძეს — საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს „დინამოს" თავმჯდომარის მოადგილეს.
4. **თედეევს** პავლე პეტრეს-ძეს — ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგეს.
5. **მერკვილაძეს** გიორგი ნიშრევანის-ძეს — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეთოდური კაბინეტის გამგეს.
6. **მეკვანაძეს** შალვა გიორგის-ძეს — აჭარის ასსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის თავმჯდომარეს.
7. **პეტროსიანს** აშოტ აირაპეტის-ძეს — ქ. თბილისის პირველი მაისის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის თავმჯდომარეს.
8. **რცხილაძეს** გიორგი ვასილის-ძეს — ქ. თბილისს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის თავმჯდომარეს.
9. **სხირტლაძეს** თევდორე ავთანდილის-ძეს — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგეს.
10. **ჩოგოვაძეს** აბესალომ კონსტანტინეს-ძეს — ქუთაისის ცენტრალური სტადიონის დირექტორს.
11. **ჩხიკვაძეს** დორმიდონ გრიგოლის-ძეს — ჩოხატაურის რაიონის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის თავმჯდომარეს.
12. **ხორავას** კარლო მელიტონის-ძეს — ქ. ზუგდიდის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის თავმჯდომარეს.
13. **ხუროძეს** სერგი კონსტანტინეს-ძეს — დუშეთის რაიონის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის თავმჯდომარეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაშაძე

ქ. თბილისი, 1964 წლის 7 აგვისტო.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, ᲚᲣᲭᲜᲘᲙᲘ, ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

ლუჭნიკში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის ტერიტორიაზე ყოველდღიურად მოდის დიდძალი ექსპონატი სამშენებლო და საგზაო მანქანებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მექანიზაციის სხვადასხვა საშუალებათა საერთაშორისო გამოფენისათვის, რომელიც აგვისტოში გაიხსნება.

გამოფენის მთავარი მიზანია გააცნოს მშენებლებს და ყველას, ვინც მონაწილეობს ამ პროფილის მანქანების შექმნაში, სამშენებლო ტექნიკის თანამედროვე ნიმუშები, რომლებიც შექმნა უკანასკნელი წლების მანძილზე სხვადასხვა ქვეყანაში. გამოცდილების გაზიარება განამტკიცებს ხუთი კონტინენტის მეცნიერულ და საავტორო ურთიერთობას.

საზღვარგარეთის ექსპონატები მოდის 260-ზე მეტი ფირმიდან. ნაკეთობათა საერთო რაოდენობა თითქმის ორ ათას აღწევს. გამოფენის მონაწილეთა შორის არიან ინგლისი, იტალია, საფრანგეთი, იაპონია, ავსტრია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. ფინეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, ბელგია, ჰოლანდია, შვეიცარია, შვეიცარია, დანია, იუგოსლავია, ჩეხოსლოვაკია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, პოლონეთი, უნგრეთი და სხვა ქვეყნები. პირველად იქნება ფართოდ ნაჩვენები სოციალისტური ქვეყნების საუკეთესო სამშენებლო და საგზაო მანქანები. ომამდე ასეთ ტექნიკას ამ სახელწოდებაში არ აწარმოებდნენ.

ლუჭნიკში ასეთი პროფილის საერთაშორისო გამოფენა პირველად ეწყობა. საბჭოთა კავშირში გადწყვეტილია შემდეგში მოეწყოს კიდევ მთელი რიგი ასეთი სპეციალიზებული საერთაშორისო გამოფენები, რომლებიც მიეძღვნება, მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, ხელსაწყოებს, ქიმიას და სხვ. (საკ.).



ᲖᲠᲓᲘᲡ ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘ

□ სსრ კავშირში ქმედებს ფიზიკური კულტურის 16 ინსტიტუტი, ფიზიკური აღზრდის ათობით უაკულტეტი პედაგოგიურ ინსტიტუტებთან და. უნივერსიტეტებთან, ფიზიკური კულტურის ტექნიკუმები, მწვრთნელთა სკოლები. ამ სასწავლებლებში 45 ათასამდე კაცი სწავლობს.

□ **ᲤᲚᲘᲗᲘᲠᲤᲚᲝᲑᲘᲗ** იზრდება საბჭოთა სპორტსმენების ოსტატობა. პერიოდულად მაღლდება საკავშირო კლასიფიკაციის ნორმებიც. ის, რაც ათი წლის წინათ სპორტის ოსტატის ნორმა იყო, ახლა პირველი თანრიგის ნორმა გახდა. მართლაც, ეს ნორმა, მაგალითად, 1963 წელს 81.200 კაცმა შეასრულა. ახლა ჩვენში სპორტის 35.269 ოსტატია და 225 ათასზე მეტი პირველთანრიგოსანი.

□ **ᲞᲐᲠᲗᲝᲕᲓᲔᲑᲐ** საბჭოთა სპორტის საერთაშორისო ურთიერთობა. საბჭოთა სპორტსმენები ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲐᲜᲘ ᲞᲝᲡᲢᲔᲡᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲡ 40 ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐᲡᲐ, ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. მათ კონტაქტი აქვთ 85 ქვეყნის სპორტსმენებთან.

□ **6 ᲐᲗᲐᲡᲐᲛᲓᲔ** საუკეთესო საბჭოთა ათლეტი ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ მონაწილეობს მსოფლიოს, ევროპის პირველობებში და სხვა საერთაშორისო შეჯიბრებებში. საერთაშორისო სპორტული ურთიერთობის მასშტაბით სსრ კავშირს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში.

□ **1962 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ** დაწყებული საბჭოთა სპორტსმენები სამჯერ მონაწილეობდნენ ოლიმპიურ ასპარეზობაში. და ყოველთვის ცხადყოფდნენ თავიანთ მაღალ ოსტატობას. მათ მეუთვნით 35 ოლიმპიური რეკორდი 85 რეკორდიდან, რომელთა რეგისტრაციაც წარმოებს.

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲡ ᲛᲝᲔᲗᲮᲝᲕᲔᲑᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ, ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲦᲠᲛᲐ ᲪᲝᲓᲜᲐ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ

ᲕᲝᲚᲒᲝᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲙᲝᲢᲔᲚᲜᲘᲙᲝᲕᲝᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲒᲐ „ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ" ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲒᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲒᲗᲐᲜ

5 აგვისტო დიდი ხნით დაამახსოვრდება ვოლგოგრადის ოლქის კოტელნიკოვოს საწარმოო სამმართველოს არტელ „რუსეთის" კოლმეურნეებს. მათი მეურნეობის გასაცნობად ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი. კოლმეურნეები გულთბილად და გულითადად მესალმნენ ძვირფას სტუმარს.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვი იყო ყანებში, დათვალიერა სიმინდის ნათესები. შემდეგ გაიმართა გულითადი საუბარი მეურნეობის ხელმძღვანელებთან და სპეციალისტებთან, აქტივთან. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნ. ე. ნოსოვმა სტუმარს უამბო მეურნეობის საქმეები და წარმატებები, მომავლის გეგმები.

კოლმეურნეობა „რუსეთი" წლითიწლობით ზრდის პროდუქციის წარმოებას. აქ თითქმის 9 ათას ჰექტარ ფართობზე მოჰყავთ საშემოდგომო და საგაზაფხულო ხორბალი, ქერი, ფეტვი. სათესი ფართობების სტრუქტურაში დიდი ადგილი უკავია სიმინდს, მისი პლანტაციები გადაჭიმულია 1.400 ჰექტარზე. არტელის ფერმებში არის 2.300 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 3.600 ცხვარი, 3.100 ღორი. სულ ცოტა ხნის წინათ ეს მეურნეობა ჩამორჩენილი იყო. ახლა კი ერთ-ერთი მოწინავეა საწარმოო სამმართველოში. განსაკუთრებით დიდი ცვლილებები მოხდა აქ უკანასკნელ წლებში.

წელსაც კარგად იმუშავეს „რუსეთის" კოლმეურნეებმა. ჰექტარზე მათ მოჰყავთ 17 ცენტნერი ხორბალი და 22 ცენტნერი ქერი. ნახელმწიფოს უკვე მიჰყიდეს დაახლოებით 400 ათასი ფუთი პური. მაგრამ არტელის მშრომელები იბრძვიან იმისათვის, რომ მისცენ საშობლოს 700 ათასზე მეტი ფუთი მარცვალი. ეს ერთიორად აღემატება შარშანდელს.

არტელის ხელმძღვანელებთან და სპეციალისტებთან ნ. ს. ხრუშჩოვის საუბრის დროს შეეხნენ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციისა და სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ბევრ საკითხს. ქვემოთ მოყვანილია ამ საუბრის მოკლე ჩანაწერი.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა წარმატებანი, რომლებსაც კოლმეურნეობამ მიაღწია მარცვლისა და სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებაში და ხოხოვა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ეამბნა, თუ რა ჯიშების ხორბალს თესავენ, შეაქქთ თუ არა ყანებში სასუქი, ნერგავენ თუ არა წარმოებაში მეცნიერების მიღწევებს, ეამბნა კოლმეურნეობის ეკონომიკის განვითარების ზოგიერთ სხვა საკითხზე.

ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ. ახლა მეცნიერება დიდ შესაძლებლობებს უსახავს წარმოებას. ეს განსაკუთრებით სელექციის მაგალითით ჩანს. შესანიშნავი ჯიშების ხორბალი შექმნეს სელექციონერებმა პ. პ. ლუკიანენკომ, ვ. ნ. რემესლომ, ფ. გ. კირიჩენკომ და სხვებმა. ამას წინათ ამხ. კირიჩენკომ გამომიგზავნა ახალი ჯიშის ხორბლის ნიმუში. მას „ახალი მიჩურინული" ეწოდება. ეს საშემოდგომო თავთუხია, პირველად მიიღეს ჩვენს ქვეყანაში. ხუთი წლის მანძილზე მისმა მოსავალმა საშუალოდ ჰექტარზე 40 ცენტნერი შეადგინა. ჩვენ ისე უნდა მოვაწყოთ მეთესლეობა, რომ ვთესოთ ყველაზე პროდუქტიული ჯიშები. რომელი ახალი ჯიშის ხორბალს თესავთ თქვენი კოლმეურნეობის ყანებში?

ნ. ე. ნოსოვი. (კოლმეურნეობის თავმჯდომარე). ჩვენ ბევრი გვსმენია ხორბალზე „უფხო-1". გასულ წელს გადავწყვიტეთ გვესინჯა ეს ჯიში და მეზობლებისაგან ვიყიდეთ პირველი რეპროდუქციის თესლი. „უფხო-1" დავთესეთ 80 ჰექტარზე. ეს დასაწყისი იყო და შედეგიანი გამოდგა. ჰექტარზე მოვიწიეთ 17 ცენტნერი ხორბალი. ჩვენი გვალვიანი ზონისათვის ასეთი მოსავალი ძალიან კარგად შეიძლება ჩაითვალოს. მიმდინარე წელს უკვე საკუთარი მაღალი ხარისხის თესლი გვაქვს და „უფხო-1"-ს 415 ჰექტარზე დავთესავთ.

რითია ეს ხორბალი კარგი ჩვენს პირობებში? ჩვენთან ხშირად იცის ძლიერი ქარი, ზოგჯერ ქარიშხალიც. ჩვენ ისეთი ჯიშის ხორბალი გვჭირდება, რომელიც გაუძლებს ჩვენი ზონის მკაცრ პირობებს. ასეთი ჯიში გამოდგა „უფხო-1". იგი ყოველგვარ ქარიშხალს უძლებს, ღერო არ წვება, მარცვალი არ ცვივა.

ერთხელ ძლიერი ქარიშხალი და წვიმა დაგვატყდა თავს. სხვა ჯიშების ხორბალი ჩაწვა, „უფხო-1" კი სანთელივით იდგა, თითქოს არაფერი მომხდარაო. ვფიქრობ, რომ 17 ცენტნერი ჰექტარზე სრულად არ გამოხატავს ამ ჯიშის შესაძლებლობას. არსებითად, ჩვენ უკვე მივხვდით ჩვენს შეცდომას. კოლმეურნეობამ სრულად არ იცოდა „უფხო-1"-ის თავისებურებანი და თესვის შემცირებული ნორმა გამოვიყენეთ. ერთ ჰექტარზე 90 კილოგრამი მარცვალი დავთესეთ, მეზობლები კი 130 კილოგრამს თესავდნენ. მათ ყანებში „უფხო" ჰექტარზე 25-30 ცენტნერ მარცვალს იძლეოდა.

ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ. თქვენ და თქვენმა მეზობლებმა ასეთი მოსავალი მინერალური სასუქების გამოუყენებლად მოიწიეთ?

ნ. ე. ნოსოვი. ჩვენს კოლმეურნეობას არავითარი მინერალური სასუქი არ შეუტანია პურის ყანებში. საერთოდ, ჩვენ არ ვიღებთ მინერალურ სასუქებს.

ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ. საგაზაფხულო ხორბლის როგორ მოსავალს იწევთ კოლმეურნეობაში?

ნ. ე. ნოსოვი. 13-14 ცენტნერს. ჩვენ სულ ვეძებთ უფრო მოსავლიან ჯიშებს.

ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ. მე მითხრეს, რომ აკადემიკოსი პ. პ. ლუკიანენკო ახლა მუშაობს „უფხო-1" ტიპის საგაზაფხულო ხორბლის მიღებისათვის.

ნ. ე. ნოსოვი. ეს შესანიშნავი იქნებოდა. ჩვენ მადლობით დაველოდებით ახალ ჯიშს.

ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ. მაინც თქვენი პირობები მეტად მკაცრია საშემოდგომო ხორბლისათვის. „უფხო-1"-თან ერთად სხვა ჯიშებსაც ცდიან. რა იქნებოდა რომ გესინჯათ და „მირონოვული-808" დაგეთესათ? ამბობენ, რომ იგი ბევრად უფრო მკაცრ პირობებს უძლებს, ვიდრე „უფხო-1"-ი.

ᲨᲐᲠᲨᲐᲜ ამხ. გრაჩოვმა, კურსკის ოლქის სოფელ კალინოვკის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, იშოვა „მირონოვული-808"-ის თესლი და პატარა ფართობზე დათესა. ზაფხული გვალვიანი იყო. როგორ გამოიჩინა თავი სხვადასხვა ჯიშმა? დარაიონებულმა ჯიშმა მოსცა 21 ცენტნერი ჰექტარზე. „მირონოვულმა-808" — კი 43 ცენტნერი, ესე იგი 22 ცენტნერით მეტი. ამგვარად, მარტო ჯიშის შერჩევით მოსავალი ერთიორად გაიზარდა.

ნ. ე. ნოსოვი. თქვენ რჩევას გამოვიყენებთ ნიკიტა ნერგის-ძეს, ვსინჯავთ და ჩვენთან დავთესავთ „მირონოვულ-808" ჯიშის ხორბალს.

ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ. რამდენი ნალექი მოდის თქვენში?

ნ. ე. ნოსოვი. დაახლოებით 350 მილიმეტრი.

ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ. მირონოვოს სადგურში, სადაც ეს ჯიში გამოიყვანეს, მეტი ნალექია. მაგრამ შეიძლება თქვენი ნალექების პირობებშიც მიიღოთ კარგი მოსავალი.

ნ. ე. ნოსოვი. წლევანდელი წელიწადი კარგია ნალექების მხრივ. პირობები საშემოდგომო ხორბლისათვის ნორმალური იქნება.

ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ. მეთესლეობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობისათვის. ზოგიერთი კულტურის მხრივ, კი, ვიტყოდი, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. სამწუხაროდ, ჩვენში სათანადოდ არ აფასებდნენ მეთესლეობას და ალაც ჯერ კიდევ ყველას არ ესმის რამდენად მნიშვნელოვანია, რომ თავიდან ბოლომდე აწყობილი მეთესლეობის სისტემა გვქონდეს, რომ უზრუნველყოთ ჯიშების სისტემატური განახლება.

ზოგჯერ ასე ხდება: დგება გაზაფხული და მხოლოდ მაშინ იწყებს კოლმეურნეობის თავმჯდომარე იმის ფიქრს, რომელი თესლი დათესოს. და, არსებითად თვითონვე არის თავისი თავის მრჩეველი. უნდა ითქვას, რომ ამ ქვეყნებში, სადაც დიდად არის განვითარებული სოფლის მეურნეობა, ასეთი მდგომარეობა არ არის. მე დანიაში ვიყავი. ამ ქვეყანაში გამოიყვანეს კარგი ჯიშების სასოფლო-სამეურნეო კულტურები. იქ ჰყავთ სოფლის მეურნეობის მრჩევლები. ისინი დადიან ფერმებში, ურჩევენ რომელი ჯიში დათესონ, ეხმარებიან ახალი, ყველაზე პროდუქტიული ჯიშების შეძენაში. ჩვენც გვყავს ასეთი მრჩევლები — ინსპექტორ-ორგანიზატორები, თუ გირჩევენ რამეს?

ნ. ე. ნოსოვი. კი გვირჩევენ, მაგრამ ზოგჯერ იმას არა, რაც საჭიროა.

ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ. რას გირჩევენ? უფრო ხშირად ისინი მხოლოდ გეკითხებიან — რატომ არ იღებ მოსავალს? როდის იწყებ თესვასო და ასე შემდეგ. მაგრამ ასეთი რჩევისაგან კოლმეურნეობას სარგებლობა არა აქვს.

იმას, კი, რომ გირჩიონ, რა ჯიში დათესოთ, ბევრი ინსპექტორი არ აკეთებს.

ამ ქვეყნებში, სადაც განვითარებულია სოფლის მეურნეობა მრჩევლები აწარმოებენ ექსპერიმენტებს, მათ აქვთ საცდელი მინდვრები, ცდილან ჯიშებს, სასუქებს და როცა მრჩეველი ფერმერთან მიდის, იგი გარკვეულად ეუბნება, გირჩევთ ესა და ეს ჯიში ამა და ამ ჯიშით შეცვალოთ, ასეთი და ასეთი სარგებლობა გექნებათო.

ჩვენს პირობებში, როცა სიექსპერიმენტო ყანად შეიძლება კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა გამოვიყენოთ, რეკომენდაციები მით უფრო კონკრეტული უნდა იყოს. ჩვენ ახლა ის კი არ გვჭირდება, რომ ინსპექტორ-ორგანიზატორმა „შეუჩიჩნოს" კოლმეურნეობის თავმჯდომარეს. მეურნეობათა ხელმძღვანელებს სჭირდებათ მაღალკვალიფიციური რჩევა. ჩვენში კი ინსპექტორს ზოგჯერ აგრონომიული განათლებაც კი არა აქვს. რა უნდა ურჩიოს ასეთმა ინსპექტორმა, მან თვითონ არაფერი არ იცის.

ანდა ავიღოთ ასეთი საკითხი. დღემდე, ჩვენში ბევრ მეურნეობას აწარმოებენ პრინციპით „ცოტ-ცოტა ყველაფერი გვქონდესო". ასეთი წარმოების საქონლიანობა უმნიშვნელოა, შრომის ნაყოფიერება მცირე. ასეთი მეურნეობა შეუწყნარებელია წარმოებისადმი თანამედროვე მოთხოვნების ირობებში. საჭიროა სპეციალიზაცია. საჭიროა ინტენსიფიკაცია. არის სხვა მომწიფებული საკითხებიც. ჩვენ გადავწყვეტეთ განვიხილოთ ისინი ნოემბერში ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. როგორც ჩანს, ორგანიზაციულად მოგვიხდება გავაუმჯობესოთ სპეციალიზებული წარმოების ხელმძღვანელობა, უნდა გვყავდეს ადამიანები, რომლებიც პასუხს აგებენ თითოეული სახეობის პროდუქციის წარმოებისათვის. მაშინ გვეყოლება დიდად კვალიფიციური მრჩევლებიც, ისინი ინსპექტიას გაუწევენ სპეციალიზებულ მეურნეობებს, სახელმწიფოს წინაშე პა-

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-2 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ)

ყოველ ხელმძღვანელსა და სპეციალისტს მოეთხოვება წარმოების, მეურნეობის კონკრეტული დარგის ღრმა ცოდნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

სუხს აგებენ მათი წარმოების ორგანიზაციისათვის. აი, სწორედ მაშინ ისინი გიჩრეენ დანეგროთ ისეთი ჯიშები, რომლებიც ყველაზე უფრო შესაფერია მოცემული რაიონისათვის.

ჩვენ ბევრი უნდა ვიმუშაოთ, რომ ავამაღლოთ მიწათმოქმედების კულტურა. უკვე ვთქვი და ერთხელ კიდევ მინდა მოგაგონოთ შემდეგი რამ. დანიაში გამოფენა მიჩვენეს. გამოფენაზე ხორბლის ნათესები იყო. უნდა გითხრათ, რომ ხორბალი სავსებით სუფთა იყო სარეველებისაგან. მაგრამ თვალში მეცა ერთი ღერო შვრიუკა. დანიელებმა უურადღება მიმაქცევინეს შვრიუკაზე, მერე კი ნათესიდან ამოიღეს იგი. აღმოჩნდა, რომ შვრიუკა წყლიან ბოთლში იყო ჩადებული და გამოეფინათ როგორც იშვიათი ექსპონატი. გამოფენის ხელმძღვანელებმა ამიხსნეს, რომ დანიაში შვრიუკას გაჩენა უანაში საგანგებო შემთხვევად ითვლება. მართლაც, უანებში არ არის შვრიუკა. ეს სწორია. სარეველები უანაში შეუთავსებელია მეურნეობის ინტენსიურ წარმოებასთან.

ფერმებში უურადღებას იქცევს დიდი რძელალაინობა. მიჩვენეს ფური, რომლის რძე შეიცავს 6,9 პროცენტ ცხიმს. ეს თითქოს დაუჯერებელია. მაგრამ ციფრი ნამდვილად ზუსტია. საერთოდ იქ არ არის ფურები, რომელთა რძელალინობა 4,5-5 პროცენტზე ნაკლები იყოს. უმეტესად გვხვდება დანიური წითელი ჯიშის ფური. იგი პატარა, მაგრამ მაღალპროდუქტიულია. ფურებს სახოლიკე-სარძეოს უწოდებენ. იქ განმიცხადეს, რომ არ ჰყოფენ ფურებს სარძეოდ და სახორციდ. მიჩნეულია, რომ ფური უნდა იძლეოდეს რძესაც, და კარგ მონაშენსაც ხორცის მისალებად.

ახლა მინდა შევეხო სანაშენო საქმეს, კერძოდ, ხელოვნური დათესვლის საქმეს. თქვენს ფერმაში იყენებენ ხელოვნურ დათესვლას?

ნ. ე. ნოსოვი. დიახ, ვიყენებთ.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ვინ აკეთებს ამას?

ნ. ე. ნოსოვი. კოლმეურნე, რომელმაც სწავლა გაიარა.

ნ. ს. ხრუშჩოვი. განა შეიძლება, რომ ისეთი დიდმნიშვნელოვანი საქმე, როგორიც არის ხელოვნური დათესვლა, თავისებურად წარმოებდეს თითოეულ მეურნეობაში? როგორც ჩანს, ჩვენს ქვეყანაში უნდა იყოს ხელოვნური დათესვლის სადგურთა ქსელი. სადგურებს უნდა ჰყავდეთ კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მოემსახურებიან. სადგურების მუშაკები პასუხისმგებელი იქნებიან ხელოვნური დათესვლის ორგანიზაციისათვის, განახორციელებენ სახელმწიფო კონტროლს. ერთი სიტყვით, ხელოვნური დათესვლის საქმე სახელმწიფოს ხელში უნდა ავიღოთ. ამასთან მხედველობაში გვაქვს, რომ სადგურებს ეუოლებათ დიდმარმოებლური კუროები, კარგ შედეგებს უზრუნველყოფენ კოლმეურნეობის თუ საბჭოთა მეურნეობისათვის. მეურნეობამ უნდა გადაწყვიტოს, როგორი კუროები გამოიყენოს დათესვლისათვის, შემოწმებულია თუ არა მათი შთამომავლობა. ერთი სიტყვით, რწმენა უნდა გვქონდეს, ადამიანებმა იცოდნენ, რომ ხელოვნური დათესვლის საშუალებით შეიძლება უფრო სწრაფად გავაუმჯობესოთ პირუტყვის პროდუქტიულობა.

ახლა, როგორც უკვე ითქვა, ეს მუშაობა ყველგან როდი კარგად მოგვარებული. ადგენენ ანგარიშს, ამდენი და ამდენი ძროხაა დაგრილებულიო, მერე კი აღმოჩნდება, რომ მოიგო ნაკლებმა, ვიდრე დაგრილებული იყო. ვინ აგებს პასუხს ამისაზვის, რომ ნახირში ბევრია ბერწი ფურა? ვერ ნახავ ისეთებს, ვინც პასუხისმგებელია.

ნ. ე. ნოსოვი. ეს ნამდვილად ასეა.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ხომ არ გისინჯავთ მინერალური სასუქები შეგეტანათ მარცვლეული კულტურების ნათესებში, ხომ არ იტყვით, როგორ ითვისებს თქვენი ნიადაგები სასუქებს?

ნ. ე. ნოსოვი. არა, ჩვენი ზონა გვალვიანია და სასუქები ერთხელაც არ მოუციათ.

ნ. ს. ხრუშჩოვი. რამდენი წელია კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობთ?

ნ. ე. ნოსოვი. ხუთი წელია.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ხუთ წელიწადში საგაზაფხულო და საშემოდგომო ხორბლის მოსავლიანობის დაახლოებით რა მერყეობა იყო?

ნ. ე. ნოსოვი. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში საგაზაფხულო ხორბალი იძლევა შედარებით მყარ და დაახლოებით ერთნაირ მოსავალს. მართალია, შარშან 10-10 ცენტნერი მოვიწიეთ ჰექტარზე, დანარჩენ წლებში კი 14-15 ცენტნერი.

ნ. ს. ხრუშჩოვი. საგაზაფხულო ხორბალს ათ ცენტნერზე ნაკლები არ მოუცია? საშემოდგომო ხორბალი რამდენს იძლევა?

ნ. ე. ნოსოვი. ხუთი წლის მანძილზე საშემოდგომო ხორბალი საშუალოდ წელიწადში 15 ცენტნერს იძლეოდა ჰექტარზე.

ნ. ს. ხრუშჩოვი. საგაზაფხულო ხორბალი კი საშუალოდ წელიწადში რამდენს იძლევა?

ნ. ე. ნოსოვი. 14,5 ცენტნერს. უნდა ვთქვა, რომ რბილი ხორბალი არა გვაქვს, ასე რომ ბარტო თავთუნს ვთესავთ, და იგი რამდენადმე ჩამოუვარდება მოსავლიანობით.

ნ. ს. ხრუშჩოვი. კიდევ რა კულტურებს თესავდით? სასილოსე სიმინდი დაგითესიათ?

ნ. ე. ნოსოვი. დაგვითესია.

ნ. ს. ხრუშჩოვი. რამდენ ხილოსს იღებთ ჰექტარზე?

ნ. ე. ნოსოვი. ჯერჯერობით ცოტას ვიღებთ, 187 ცენტნერს. მაგრამ წელს კარგი ნაკვეთები გვაქვს, რომლებზეც მოვიწევთ 300 და მეტ ცენტნერ ღეროსა და ტაროს ჰექტარზე.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ურწყავი?

ნ. ე. ნოსოვი. სარწყავი სიმინდი არა გვაქვს.

ნ. ს. ხრუშჩოვი. რწყვის განვითარების რა შესაძლებლობანი გაქვთ? თქვენ კარგი მიწები გაქვთ, ბევრი სითბო. თუ წყალს მიუშვებთ უანებში, შეიძლება მიიღოთ სიმინდისა და სხვა კულტურების უხვი მოსავალი?

ნ. ე. ნოსოვი. ჩვენ უურადღებით ვსწავლობთ რწყვის ორგანიზაციის გამოცდილებას, რომელიც შეძენილია საბჭოთა მეურნეობა „კუბანეცსა“ და სხვა მეურნეობებში. ახლა კოლმეურნეობის სპეციალისტებმა აწონ-დაწონეს, თუ რის გაკეთება შეიძლება ჩვენს პირობებში. ვფიქრობთ ერთ-ერთ ღელეზე ავაშენოთ კაშხალი და შევქმნათ დიდი გუბურა. წინასწარი გაანგარიშებით, ამ გუბურის წყლით შეიძლება მოვარწყოთ 100 ჰექტარი. სარწყავ მიწებს, უწინარეს ყოვლისა, გამოვიყენებთ სიმინდის მოსაყვანად. ეს მიგვაჩნია ხორცისა და რძის წარმოების ზრდის მთავარ პირობად.

ნ. ს. ხრუშჩოვი. რამდენ სიმინდის მარცვალს იღებთ ჰექტარზე?

ნ. ე. ნოსოვი. სამარცვლე სიმინდის მოსავლის ასალებად მცირე ფართობს ვტოვებთ. სიმინდის მარცვლის მოსავალი მიმდინარე წელს შეადგენს, ალბათ, 30 ცენტნერს ჰექტარზე.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ეს მიმდინარე წელს? შარშან რამდენი მოიწიეთ?

ნ. ე. ნოსოვი. შარშან „ბუკოვინური-3“ დავთესეთ. ჰექტარზე 12 ცენტნერი მარცვალი მოვიწიეთ. დათესილი იყო 100 ჰექტარი, მაგრამ ტარო ცოტა გამოიღო.

ნ. ს. ხრუშჩოვი. „ბუკოვინური-3“ მაინცდამაინც არ გამოგადგებათ. ვინ გირჩიათ დაგეთესათ ეს ჰიბრიდი?

ნ. ე. ნოსოვი. აგრონომს მოვეთათბირეთ. თესლიც ასეთი მოგვივიდა.

ნ. ს. ხრუშჩოვი. რასაკვირველია, თუ ასე მოეკიდებით სიმინდის ჯიშებს შერჩევას, არაფერი არ გამოგვავთ, ვერ მოიწევთ უხვ მოსავალს. ამაში, გასაგებია, ბრალი მიუძღვით უწინარეს ყოვლისა საწარმოო სამმართველოს, აგრეთვე სამეცნიერო დაწესებულებებს, რომლებმაც ეს ჰიბრიდი გირჩიეს. ჩვენ თითქოს ყველაფერი გვაქვს: საცდელი სადგურები და ინსტიტუტები, საყრდენი მეურნეობები. პასუხისმგებლობა კი ყველაზე პროდუქტიული ჯიშების დანერგვისათვის არა გვაქვს.

კიდევ რას თესავთ, რა კულტურები გაქვთ — ქერი, ჭვავი, ფეტვი?

ნ. ე. ნოსოვი. ვთესავთ კიდევ ფეტვს, მაგრამ ცოტას.

ნ. ს. ხრუშჩოვი. რამდენს იღებთ ჰექტარზე?

ნ. ე. ნოსოვი. 15-18 ცენტნერის ფარგლებში. დავთესეთ 95 ჰექტარი. მეორე წელია ვთესავთ „სარატოვული-853“ პირველი რეპროდუქციის თესლს. მიმდინარე წელს ვფიქრობთ ჰექტარზე ავიღოთ 18 ცენტნერი ფეტვი.

ნ. ს. ხრუშჩოვი. რა წესით თესავთ?

ნ. ე. ნოსოვი. ისეთივე წესით, როგორითაც ხორბალს ვთესავთ, მწკრივად სათესი მანქანით.

ნ. ს. ხრუშჩოვი. გაგიგონიათ თუ არა თესვის ფართო მწკრივიანი წესი.

ნ. ე. ნოსოვი. არ გამოგვიცდია ასეთი წესი ჩვენს უანებში.

ნ. ს. ხრუშჩოვი. თქვენ, ალბათ, გაგიგონიათ რაიმე მ. ა. პოსმიტნის შესახებ? არის კოლმეურნეობის ასეთი თავმჯდომარე უკრაინაში. იგი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობს, ალბათ, ორმოცი წელია. დაბრუნდა სამოქალაქო ომიდან, წავიდა სოფელში, შექმნა კომუნა, მერე კომუნამ მიიღო სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება, პოსმიტნი აირჩიეს ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. იგი ჰექტარზე 40 ცენტნერ ფეტვს იღებს, იგი არ არის მეცნიერი, აგრონომი, უბრალო გლეხია, მაგრამ გამოცდილი ადამიანია, იცის და უყვარს მიწა, უურადღებით სწავლობს თავისი მეზობლების გამოცდილებას.

ნ. ე. ნოსოვი. მინდა გითხრათ, ნიკიტა სერგის-ძე, რომ წელს ვაპირებთ საშემოდგომო ნათესის ფართობის გადიდებას, გვინდა დავთესოთ 6.000-ჰექტარზე ხორბალი და ჭვავი.

ნ. ს. ხრუშჩოვი. შარშან რამდენი დათესეთ?

ნ. ე. ნოსოვი. 4 ათას ჰექტარზე ცოტა მეტი.

ნ. ს. ხრუშჩოვი. რა უშავს, ეს კარგი საქმეა. თუ თქვენში საშემოდგომო პურეულის მეტი მოსავალი მოგაყავთ, საჭიროა მათი ნათესების გადიდება. თქვენს პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ დროზე მოხნათ საშემოდგომო ნათესისათვის მიწა. მაშინ მიიღებთ საშემოდგომო პურეულის თანაბარ კარგ აღმონაცენს. იგი გამიზმორებს და უხვ მოსავალს მოგცემთ. მართალია, თქვენს პირობებში ადვილი როდია საშემოდგომო პურეულის აღმონაცენის მიღება. მაგრამ ახლა თითქოს ხელსაყრელი მდგომარეობა გაქვთ.

ნ. ე. ნოსოვი. ძვირფას კულტურათა შორის, რომლებიც კოლმეურნეობაში მოგვყავს, მდგომეობა არის. იგი დიდ შემოსავალს აძლევს კოლმეურნეობას, თუმცა განსაკუთრებულ ხარჯებს არ მოითხოვს. მომდინარე წელს მდგომეობის მოსავალი იქნება 8 ცენტნერი ჰექტარზე. შარშან მოვიწიეთ 6 ცენტნერი ჰექტარზე. საერთოდ უნდა ვთქვათ, რომ მდგომეობისაგან ჩვენ საკმაოდ დიდი დაგროვება გვაქვს. და უნდა ვთქვა, რომ გეგმის გადამეტებით ჩავაბარებთ ამ კულტურას. შეიძლება გეგმის გადამეტებით ჩავაბაროთ 1,5 ათასი ცენტნერი.

ნ. ს. ხრუშჩოვი. რამდენს იხდის სახელმწიფო ერთ ცენტნერ მდოგვზე?

ნ. ე. ნოსოვი. მდოგვი, ნიკიტა სერგის-ძე, ძვირფასი კულტურაა. თვითღირებულება მცირე აქვს, მაგრამ სახელმწიფო ბევრს იხდის მდოგვზე. შარშან ერთი ცენტნერი მდოგვის თვითღირებულება იყო 2 მანეთი და 40 კაპიკი, სახელმწიფოს კი მივყიდეთ 25 მანეთად ცენტნერი. წელს ვფიქრობთ რომ თვითღირებულება შარშანდელზე ნაკლები იქნება. ამინდის პირობებმა ხელი შეუწყვეს მდოგვის ზრდას. მხოლოდ ერთხელ მოგვიხდა მისი დამუშავება, როცა სოფლის მეურნეობის მაგნეტიები გაჩნდნენ. მეტი მაინცდამაინც არ შეუწუხებივართ მდოგვის მოვლას. წელს ერთი ცენტნერი მდოგვის თვითღირებულება 2 მანეთზე მეტი არ იქნება, 25 მანეთად კი გავყიდეთ ცენტნერს. ისე გამოდის, თითქოს ცოტა ვძარცვავთ სახელმწიფოს. მაგრამ ეს ძვირფასი კულტურაა, მასზე დიდია მოთხოვნილება.

ნ. ს. ხრუშჩოვი. თქვენთან რამდენია ხორბლის თვითღირებულება?

ნ. ე. ნოსოვი. შარშან ერთი ცენტნერი საშემოდგომო ხორბალი 2 მანეთი და 37 კაპიკი დაგვიჯდა. წელს, ალბათ 2 მანეთი დაგვიჯდება.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ხორბალში რამდენს იხდის სახელმწიფო?

ნ. ე. ნოსოვი. რბილ ხორბალს ცენტნერს 8 მანეთსა და 25 კაპიკად ვყიდით.

ნ. ს. ხრუშჩოვი. თავთუნს?

ნ. ე. ნოსოვი. თავთუნში სახელმწიფო 12 მანეთს იხდის ცენტნერში.

ნ. ს. ხრუშჩოვი. თქვენ თვითონ აგრონომი ხართ?

ნ. ე. ნოსოვი. სპეციალობით მე ტრაქტორის, ავტომობილისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების მექანიკოსი ვარ. ხუთი წელია თავმჯდომარედ ვმუშაობ. მაგრამ ვიცი, რომ სულ ერთია საჭიროა განვაგრძოთ სწავლა.

ნ. ს. ხრუშჩოვი. მართალი ხართ. მარტო უმეცრობა ყვირიან, რომ ყველაფერი იციან, ქკვიანი კაცი კი, რაც უფრო მეტი იცის, მით უფრო გრძნობს, რომ ცოდნა სჭირდება.

ნ. ე. ნოსოვი. ჩვენს მეურნეობას აქვს დაგროვება წარმოების უწყვეტი გაფართოებისათვის. კაპიტალდაბანდების ანგარიშზე კოლმეურნეობას აქვს 300 ათას მანეთზე მეტი. წელს ჩვენ საეკსპლოატაციოდ გადავცემთ მშვენიერ სკოლას 320 მოსწავლისათვის, რომელიც ტიპობრივი პროექტით აშენდა. უნდა გითხრათ, რომ ჩვენი კოლმეურნეობა არც თუ ისე დიდი ხნის წინათ განუწყვეტლივ ეკონომიურად სუსტი იყო. მაგრამ ამ ხუთ წელიწადში მომაგრდა. წინათ ჩვენ მუდამ გვქონდა სახელმწიფოს ვალი. ახლა კი ფიქრადაც არ მოგვდის, რომ კრედიტი ვთხოვოთ სახელმწიფოს.

კოლმეურნეთა და ავანსების ანგარიშზე გვაქვს 137 ათასი მანეთი. გარდამავალი ფონდი 58 მოზნისათვის შეადგენს 115 ათას მანეთს. ასე ვფიქრობთ: მიმდინარე წელს მეტ პურს მივიღებთ სახელმწიფოს და, ამგვარად, ჩვენი შემოსავალიც გაიზრდება.

ნ. ს. ხრუშჩოვი. თავისთვის თუ აცხობენ პურს კოლმეურნეები?

ნ. ე. ნოსოვი. დიახ, თვითონ აცხობენ. მოგახსენებთ საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნაგებობებზე. ჩვენ მხოლოდ ახლა ვიწყებთ მათ აშენებას. ახლა მთელ ძალებს ამ საქმეს ვუთმობთ. მიმდინარე წელს ავაშენეთ ნაგებობანი ნეზვებისათვის, აგრეთვე ბოსელი. მალე დავიწყებთ საყოფაცხოვრებო სამსახურების შენობის აშენებას. საკუთარი საცხობიც გვექნება. კოლმეურნეები წარმატებით ასრულებენ სახელმწიფოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს, პურის დამზადების გეგმა ერთიორად შესრულდება. შეავსრულეთ რძისა და ხორცის გაყიდვის დავალება.

ნ. ს. ხრუშჩოვი. რამდენი ნაწველი გაქვთ თითოეულ ძროხაზე?

ნ. ე. ნოსოვი. ჯერჯერობით მცირე ნაწველი გვაქვს, 1.600 კილოგრამი ძროხაზე. ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენში როგორც საჭიროა ისე არ წარმოებს ჯიშთაშენო საქმე, ძროხებიც ცოტა გვყავს.

ნ. ს. ხრუშჩოვი. რასაკვირველია, ჯიშიანი პირუტყვი უფრო პროდუქტიულია, მაგრამ მე ვიტყოდი, რომ ძროხის წველადობა გადამწყვეტწილად არის დამოკიდებული იმაზე, რას აკმევ ძროხას, საკვებში კი მთავარია სიმინდის სილოსი. თუ კი კარგ ჯიშს შერჩევთ, გაანოყიერებთ ნიადაგს, მორწყავთ სიმინდს, მაშინ უხვად გეკენებათ საკვები. სარწყავ მიწებზე დათესვის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ჯიშის შერჩევას. სარწყავ მიწებზე ყველა ჯიში როდი იძლევა ყველაზე კარგ შედეგს. თქვენს მეზობლებთან სარწყავ მიწებზე ვნახე „ოდესური-10“ ჯიშის სიმინდი. ეს კარგი ჯიშია მაგრამ შეიძლება სხვებიც ვსინჯოთ. არის ასეთი ჯიში — „დნეპროული-200“, რომელიც სარწყავ მიწებზე ყველაზე უხვ მოსავალს იძლევა. ამაში დავრწმუნდი, როცა შარშან შემოდგომაზე ხერსონის ოლქის სკადოვსკის რაიონში ვიყავი. იქ მუშაობს შესანიშნავი მექანიზატორი — მესიმინდე ამბ. რომანიუკი, 1963 წელს მან, მგონია 90 თუ 95 ცენტნერი სიმინდის მარცვალი მიიღო, წელს კი იბრძვის, რომ მიიღოს 100 ცენტნერი ჰექტარზე.

ნ. ე. ნოსოვი. როგორც ჩანს, მას ფართობიც დიდი აქვს?

ნ. ს. ხრუშჩოვი. დიახ, პატარა ფართობი როდი აქვს. მიმდინარე წელს მას 200 ჰექტარზე მოპყავს სიმინდი. სასილოსე მასას ამბ. რომანიუკი 700-800 ცენტნერს იღებს ჰექტარზე.

თქვენ აპირებთ ააგოთ სარწყავი სისტემა სიმინდის უანების მოსარწყავად. გირჩევთ გაგზავნოთ ვინმე ამბ. რომანიუკთან, რომ გაეცნოს მის გამოცდილებას. სარწყავ მიწებზე სიმინდის მოყვანა ჩვენი მეცხოველეობის მომავალია. თუ გეკენებათ 12-15 ტონა მაღალხარისხოვანი სილოსი თითო ძროხაზე, მაშინ გარანტიით შეიძლება თქვას, რომ თქვენი ძროხები მოიწველიან საშუალოდ 3-3,5 ათას ლიტრ რძეს.

ნ. ე. ნოსოვი. შევეცდებით გვქონდეს ასეთი რაოდენობით სილოსი. ჩვენ გამოცდილი მექანიზატორები გვყავს, ათვისებენ სარწყავ მიწებზე სიმინდის მოყვანა-მოუვანას.

ნ. ს. ხრუშჩოვი. მახსენდება სოფელი კალინოვკა. იყო დრო, როდესაც კოლმეურნეობაში ძალზე დაბალი იყო წველადობა, ხორცს თითქმის არ აწარმოებდნენ, პირუტყვი ცოტა ჰყავდათ, და ისიც მშიერი. რვა ცენტნერი ხორცი და 42 ცენტნერი რძე 100 ჰექტარ მიწაზე მიიღეს კოლმეურნეობაში 1953 წელს. სულ სხვაგვარად შეიცვალა მდგომარეობა, როდესაც კოლმეურნეობამ ისწავლა სიმინდის, ბაქრის ჭარხლისა და სხვა კულტურების უხვი მოსავლის მოწევა. და აი მრავალი წელია კოლმეურნეები ჰექტარზე საშუალოდ იწევენ 500-600 ცენტნერ სასილოსე სიმინდს, საშუალოდ 300-350 ცენტნერს იძლევა ბაქრის ჭარხალი, ჰექტარზე საშუალოდ 200 ცენტნერს კარტოფილი. ასეთი მოსავლის დროს შესაძლებელი გახდა მეტი პირუტყვის შენახვა. ახლა კალინოვკელები აწარმოებენ 100-110 ცენტნერ ხორცს დაკლული წონით და ხუთას ოც ცენტნერ რძეს 100 ჰექტარ მიწაზე. სხვათაშორის, მინდა შევნიშნო, რომ კალინოვკელებთან გაერთიანდა ორი ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობა. ერთ-ორ წელიწადში მათ წარმოების ისეთსავე დონეს მიაღწიეს, როგორც კალინოვკელებმა.

ნ. ე. ნოსოვი. გამიგონია ამ კოლმეურნეობის შესახებ. რამდენი აქვს მიწა?

ნ. ს. ხრუშჩოვი. ხუთი ათასი ჰექტარი სახნავი. ეს კურსკის ოლქისათვის საკმაოდ დიდი კოლმეურნეობაა.

ნ. ე. ნოსოვი. ჩვენი კოლმეურნეობა საველე კოლმეურნეობაა და 17 ათას ჰექტარზე მეტი მიწა გვაქვს.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ახლა საჭიროა ნაყოფიერების გაზრდის გზით ვიაროთ, ავამაღლოთ მოსავლიანობა. საჭიროა თქვენს ზონაშიც საფუძველი ჩაუყაროთ ხორბლის საცდელ ნათესებს განოყიერებულ მიწაზე. დავადგინოთ, თუ როგორ ეგუება თქვენი ნიადაგი სასუქებს.

ჩვენი ხალხი ქმნის დიდ ქმიას. გათვალისწინებული ალია ეკონომიკა. ამ ეს ალია ეკონომიკა ... ...

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

8 აგვისტოს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მოსკოვში გაუგზავნა ნოტა, რომელშიაც იუწყება, რომ საბჭოთა სამგზავრო გემს „საქართველოს“, რომელსაც მგზავრები მიაყავდა კუბის რესპუბლიკაში, 18 ივლისს ატლანტის ოკეანეში ჩრდილოეთის განედის 32 გრადუსსა და 12 მინუტზე და დასავლეთის გრძედის 62 გრადუსსა და 32 მინუტზე მცირე სიმაღლეზე, რომელიც საფრთხეს უქმნიდა გემს, გარს შემოუფრინა № 151349 თვითმფრინავმა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ავიაციის საცნობი ნიშნები ჰქონდა. თბომავალ „საქართველოს“ გარშემო ფრენა განუწყვეტლივ გრძელდებოდა 15 საათიდან და 15 წუთიდან 17 საათამდე და 10 წუთამდე. 19 ივლისს ჩრდილოეთის განედის 29 გრადუსსა და 02 მინუტზე და დასავლეთის გრძედის 70 გრადუსსა და 07 მინუტზე თბომავალ „საქართველოს“ კვლავ შემოუფრინა გარშემო იგივე თვითმფრინავმა. 21 ივლისს 1 საათსა და 45 წუთზე თბომავალ „საქართველოს“, რომელიც იმყოფებოდა პუნქტში ჩრდილოეთის განედის 25 გრადუსსა და 34 მინუტზე და დასავლეთის გრძედის 79 გრადუსსა და 28 მინუტზე, მიუახლოვდა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხომალდი „კრეტჩმერი“ (№ 829), რომელიც 3 საათამდე და 07 წუთამდე დაცურავდა საბჭოთა თბომავლის მახლობლად და არა თუ ხელს უშლიდა „საქართველოს“ მოძრაობას, არამედ დაჯახების საფრთხესაც ქმნიდა და ხიფათში აგდებდა მგზავრების სიცოცხლეს.

ამერიკის სამხედრო თვითმფრინავებისა და ხომალდების ასეთი შეუწყნარებელი მოქმედება საბჭოთა კავშირის სამგზავრო და სატრანსპორტო გემების მიმართ, აცხადებს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ხორციელდება მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში საერთაშორისო წყლებში — წყნარ და ატლანტის ოკეანეებში, ხმელთაშუა, ჩრდილოეთისა და სხვა ზღვებში. ნოტაში მოყვანილია ფაქტები, რომ ამერიკის სამხედრო თვითმფრინავებმა გარშემო შემოუფრინეს დიზელ-ელექტრომავალ „ლენას“, სამგზავრო გემს „გამარჯვებას“, გემ „ფრუნზეს“, თბომავალ „დუბნას“, თბომავალ „ლოლინსკს“, გემ „კამენეც-პოდოლსკს“.

საბჭოთა მთავრობა, იუწყება სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო, პროტესტს აცხადებს ამერიკის სამხედრო ავიაციის აღნიშნული მოქმედების წინააღმდეგ და მოელის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა საჭირო ღონისძიებებს განახორციელებს იმ მოქმედების აღსაკვეთად, რომელიც არღვევს ნაოსნობის თავისუფლებას საერთაშორისო წყლებში და შეიძლება სერიოზული შედეგები გამოიწვიოს. (საკდესი).

ᲣᲞᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 7 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯონსონთან და სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ თანმა განუცხადა კორესპონდენტებს, რომ განიხილა, კერძოდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფინანსური კრიზისი, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში შექმნილი მდგომარეობა, კვიპროსის პრობლემა და ყენევის ვაჭრობისა და განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერენციის შედეგები. როგორც უ თანმა თქვა, მოლაპარაკება „ერთობ საყოფიერი“ იყო. უ თანმა აღნიშნა, რომ პრეზიდენტს გააცნო რამდენიმე ფორმულა, რომლებიც ეხება მშვიდობის დაცვას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

უპასუხა რა კითხვებზე, უ თანმა გამოთქვა აზრი, რომ უშიშროების საბჭო ვერ მოუტანს სარგებლობას ინდოჩინეთის რაიონში შექმნილი მდგომარეობის მოწესრიგების საქმეს თავისი შეზღუდული შემადგენლობისა და ამ რაიონში არსებული იმ განსაკუთრებული ვითარების გამო, რომელიც გამოიხატება იმით, რომ ერთ-ერთი მხარე არ არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი.

უ თანმა განაცხადა, პირადად ჩემი აზრით, საჭიროა 14 სახელმწიფოს ჟენევის ახალი კონფერენციის მოწვევა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში შექმნილი მდგომარეობის განსახილველად. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ წინადადებას აყენებს არა როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფიციალური წარმომადგენელი.

ᲛᲤᲐᲠᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲝᲕᲔᲑᲡ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 7 აგვისტო. (საკდესი). სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ბელგიას ამ ბოლო დროს მოლაპარაკება ჰქონდათ გამართული კონგოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. განცხადებაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო მდივნის მოადგილე ჰარიმანი მიფრინავს ბრიუსელში, რათა განაგრძოს ეს მოლაპარაკება ბელგიის მთავრობასთან და ბელგიის საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲐ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲡᲐᲛᲡᲯᲐᲕᲠᲝᲖᲔ

ᲛᲔᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲙᲝᲜᲒᲝᲨᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 7 აგვისტო. (საკდესი). კონგოდან მიღებული უკანასკნელი ცნობები მოწმობენ, რომ კონგოელ აჯანყებულთა შეიარაღებული ძალები კვლავ წარმატებით ავითარებენ ოპერაციებს აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ კონგოში.

ჩრდილოეთ კატანგიდან მიღებული ცნობებით, აჯანყებულთა რაზმებმა გატეხეს კატანგელი უანდარმების წინააღმდეგობა და გუშინ დაიკავეს ქალაქი მანონო — დიდმნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი ელბერტვილიდან კამინისა და ელიზაბეტვილისაგან მიმავალ გზაზე.

აჯანყებულთა მეორე კოლონა, როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, განაგრძობს მოძრაობას კასაის პროვინციის დედაქალაქ ლულუაბურგის მიმართულებით.

ამავე დროს აჯანყებულთა ნაწილები განაგრძობენ ლეოპოლდვილის ჯარების ნაშთებისაგან სტენლივილის რაიონის წმენდას. იქიდან მიღებული ცნობების თანახმად, აჯანყებულთა ჯარების მდგომარეობა ამ რაიონში მტკიცეა. აღმოსავლეთ კონგოს აჯანყებულთა მოძრაობის ხელმძღვანელმა გასტონ სუმიალომ სტენლივილის რადიოთი მოუწოდა ლეოპოლდვილის მოსახლეობას მხარი დაუჭიროს აჯანყებულთა ძალებს კონგოს განთავისუფლებისა და ნამდვილი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. თავისი გამოსვლა მან დაამთავრა იმით, რომ სუახილის ენაზე სამჯერ წარმოთქვა „უხურუ“, რაც თავისუფლებას ნიშნავს.

ამასობაში ლეოპოლდვილში, როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ამბობს, გამეფებულია „კრიზისის ატმოსფერო“. ავტომატებით შეიარაღებულმა მუზარადიანმა ჯარისკაცებმა გუშინ საღამოს დაიწყეს ქალაქის ქუჩების პატრულობა. ჯარებისა და პოლიციის გაძლიერებული რაზმები დაუენებული არიან მთავრობის შენობებთან, რადიოსადგურთან და ფოტაასთან. პრემიერ-მინისტრი ჩომბე აღარ მიემგზავრება ელიზაბეტვილში „შექმნილი ვითარების გამო“.

ᲩᲝᲛᲑᲔ ᲨᲕᲔᲚᲐᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 6 აგვისტო. (საკდესი). კონგოს დედაქალაქში გავრცელებული ცნობების თანახმად, პრემიერ-მინისტრმა ჩომბემ ბელგიას სთხოვა დაეხმაროს, კერძოდ სამხედრო კადრების დარგში აჯანყებულთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ამას იუწყება ლეოპოლდვილიდან ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი.

ᲛᲤᲐᲠᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲝᲕᲔᲑᲡ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 7 აგვისტო. (საკდესი). სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ბელგიას ამ ბოლო დროს მოლაპარაკება ჰქონდათ გამართული კონგოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. განცხადებაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო მდივნის მოადგილე ჰარიმანი მიფრინავს ბრიუსელში, რათა განაგრძოს ეს მოლაპარაკება ბელგიის მთავრობასთან და ბელგიის საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან.

ᲔᲠᲗᲘ ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲘᲡ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 7 აგვისტო. (საკდესი). ნანგრევებში მოყოლილი ხუთი მეშახტის ხსნის იმედი აღარ არის — ეს სამწუხარო ამბავი დღეს აღიარა ქალაქ შამპანიოლის მერმა. ამ ქალაქის მახლობლად მოხდა 27 ივლისს კატასტროფა. როგორც ცნობილია, მიწაში ჩამარხული თოთხმეტი მეშახტიდან ცხრა მეშახტე რვა დღის განუწყვეტელი მუშაობის შემდეგ დაგაარჩინეს. ჩამონგრევიდან მეათე დღეს თავი დაანებეს მეშახტეთა მეორე ჯგუფის ძებნას. სპეციალისტებმა, რომლებიც შამპანიოლში ჩავიდნენ საბურღი მანქანით (ამ მანქანით მუშაობდნენ ცხრა მეშახტის გადასარჩენად), დატოვეს ქალაქი. მეშახტეთა ბრიგადამ, რომელსაც გადარჩენილი მეშახტეები უნდა შეერთებოდნენ და რომელიც ულის იარაღების საშუალებით ცდილობდა დანგრეულ სანგრეში შესვლას, აგრეთვე მიატოვა სამუშაო. მაშინვე რაზმმა რამდენიმე ადგილას გაბურღა შტოლნის თაღი, სადაც უკანასკნელად მეშაობდა თოთხმეტი მეშახტე, მაგრამ აღმოაჩინა მხოლოდ ქვების გროვა — ახალი ჩამონაქცევის კვალი.

ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ Ა. ᲖᲐᲕᲐᲓᲡᲙᲘ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 7 აგვისტო. (საკდესი). დღეს გარდაიცვალა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ალექსანდრ ზავადსკი.

ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲪᲮᲠᲔᲑᲘᲐᲜ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 6 აგვისტო. (საკდესი). კამბოჯის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ვოიუნსაი სონმა აცნობა უშიშროების საბჭოს, რომ საიგონის რეჟიმის ჯარებმა ახალი შეიარაღებული პროვოკაცია მოახდინეს. 31 ივლისს სამხრეთვიეტნამელმა ჯარისკაცებმა, რომელთა შორის იყვნენ ამერიკელი სამხედრო პირები, დაიკავეს პოზიცია კამბოჯის საზღვარზე ბანტეაი ჩაკრის (პრინცენგის პროვინცია) რაიონში და ავტომატისა და ნაღმსატყორცნის ცეცხლი დაუშინეს კამბოჯის ტერიტორიას, ამასთან სერიოზულად დაჭრეს ერთი გლეხი.

ᲗᲐᲕᲮᲔᲓᲣᲠᲘ ᲐᲥᲪᲘ

ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡ�პᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲔ

ᲞᲐᲜᲝᲘ, 7 აგვისტო. (საკდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტომ გაეცნო ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მოსკოვში გაუგზავნა ნოტა, რომელშიაც იუწყება, რომ საბჭოთა სამგზავრო გემს „საქართველოს“, რომელსაც მგზავრები მიაყავდა კუბის რესპუბლიკაში, 18 ივლისს ატლანტის ოკეანეში ჩრდილოეთის განედის 32 გრადუსსა და 12 მინუტზე და დასავლეთის გრძედის 62 გრადუსსა და 32 მინუტზე მცირე სიმაღლეზე, რომელიც საფრთხეს უქმნიდა გემს, გარს შემოუფრინა № 151349 თვითმფრინავმა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ავიაციის საცნობი ნიშნები ჰქონდა. თბომავალ „საქართველოს“ გარშემო ფრენა განუწყვეტლივ გრძელდებოდა 15 საათიდან და 15 წუთიდან 17 საათამდე და 10 წუთამდე. 19 ივლისს ჩრდილოეთის განედის 29 გრადუსსა და 02 მინუტზე და დასავლეთის გრძედის 70 გრადუსსა და 07 მინუტზე თბომავალ „საქართველოს“ კვლავ შემოუფრინა გარშემო იგივე თვითმფრინავმა. 21 ივლისს 1 საათსა და 45 წუთზე თბომავალ „საქართველოს“, რომელიც იმყოფებოდა პუნქტში ჩრდილოეთის განედის 25 გრადუსსა და 34 მინუტზე და დასავლეთის გრძედის 79 გრადუსსა და 28 მინუტზე, მიუახლოვდა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხომალდი

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ენერგიულად გმობს მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე ამერიკის შეერთებული შტატების უკიდურესად საშიშ სამხედრო ღონისძიებებს და მოითხოვს, რომ შეერთებული შტატების მთავრობამ ბოლო მოუღოს პროვოკაციებისა და დივერსიების ყველა აქტს, რომლებიც მიმართულია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, შეწყვიტოს თავისი აგრესიული ომი სამხრეთ ვიეტნამში და განუხრელად დაიცვას ვიეტნამის შესახებ ჟენევის 1954 წლის შეთანხმებანი.

კომუნიკეში ჯეროვნად შეფასებულია ვიეტნამის სახალხო არმიის ქვეგანაყოფების ჯარისკაცთა და ოფიცერთა თავდადება, რაც მათ საპაერო თავდასხმის მოგერიების დროს გამოიჩინეს.

ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲔᲡ ᲜᲓᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲡ

ᲠᲝᲛᲘ, 7 აგვისტო. (საკდესი). იტალიის დეპუტატთა პალატამ დაამთავრა მოროს ახალი მემარცხენე-ცენტრისტული თავრობისადმი ნდობის საკითხის განხილვა. ხმის უმრავლესობით პალატამ ნდობა გამოუცხადა მთავრობას.

კენჭისყრის შედეგი წინასწარ იყო გადაწყვეტილი, ვინაიდან ოთხ პარტიას, რომლებმაც მოილაპარაკეს მთავრობის შექმნის შესახებ, აქვთ დეპუტატთა ადგილების უმრავლესობა.

ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲔ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 7 აგვისტო. (საკდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტომ დღეს გამოაქვეყნა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ. კომუნიკეში ნათქვამია, რომ გუშინ მინისტრთა საბჭომ მოისმინა მოხსენებანი იმის შესახებ, რომ ამერიკელმა იმპერიალისტებმა პროვოკაციებისა და დივერსიების თავზედური აქტები ჩაიდინეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. რომ 5 აგვისტოს ამერიკის ავიაცია თავს დაესხა ჩრდილეთ ვიეტნამის მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებს, და ერთსულოვნად გამოიტანა შემდეგი დასკვნა: ის, რომ შეერთებულმა შტატებმა თვითმფრინავები გამოიყენეს ჩრდილოეთ ვიეტნამის მთელი რიგი დასახლებული პუნქტების დასაბომბავად და ცეცხლის დასაშენად, წინასწარ განზრახული და უკიდურესად სერიოზული აქტია ომისა, რასაც შეერთებული შტატების მთავრობა აწარმოებს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ეს არის ინდოჩინეთის შესახებ ჟენევის 1954 წლის შეთანხმებათა უაღრესად უხეში დარღვევა და ამან გაადიდა საფრთხე, რომ ომი გაფართოვდება ინდოჩინეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

კომუნიკეში გამოთქმულია რწმენა, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ პროვოკაციისა და აგრესიის ყველა აქტი, უეჭველია, ჩაიფუშება. კომუნიკეში ერთხელ კიდევ ეცხადებათ პასუხისმგებლობა შეერთებული შტატების მთავრობასა და მის ლაქიებს ყველა სერიოზული შედეგისათვის, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს მათ საომარ აქციებს ამ რაიონში.

ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲔ

ᲯᲐᲜᲝᲘ, 6 აგვისტო. (საკდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტომ დღეს გამოაქვეყნა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის კომუნიკე, რომელშიც აღნიმნულია, რომ, უკანასკნელი მონაცემებით, ვიეტნამის სახალხო არმიის საზღვრიტ ნაწილებმა ჩამოაგდეს ამერიკის რვა რეაქტიული თვითმფრინავი, რომლებმაც დაბომბეს და ცეცხლი დაუშინეს ჩრდილოეთ ვიეტნამის მთელ რიგ ობიექტებს.

გარდა ამისა, ვიეტნამის სახალხო არმიის ქვეგანაყოფებმა დაახიანეს კიდევ სამი ამერიკული თვითმფრინავი.

ᲠᲐᲛᲝᲛ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲖᲘᲠᲝᲚᲘᲛᲐᲤᲘ?

ᲙᲘᲝᲢᲝ, 6 აგვისტო. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ა. ბირიუკოვი იტყობინება: ადამიანები მეცხრამეტე ჯერ აღნიშნავენ „ხიროსიმის დღეს“ — ატომური ტრაგედიის საშინელ დღეს, რომელიც პირველად განიცადეს ამ მშვენიერი ქალაქის მცხოვრებლებმა და მთელმა კაცობრიობამ.

ზედიზედ ცხრა წლის მანძილზე იაპონიის მშვიდობისათვის მებრძოლნი ამ დღეს ხიროსიმაში აღნიშნავდნენ, აღნიშნავდნენ ერთად, ერთობლივად. დღეს კი ამ დღეს ისინი ცალ-ცალკე აღნიშნავენ. სრულიად იაპონიის ატომური იარაღის აკრძალვისათვის ბრძოლის საბჭომ (გენსუიკო) გადაწყვიტა „ხიროსიმის დღე“ კიოტოში აღენიშნა. აქ „რეძან კანონის“ ტაძარში დღეს დილით პანაშვიდი გადაუხადეს ატომური დაბომბვის მსხვერპლთ.

ჩვეულებრივი მაყურებელი სამართლიანად იკითხავს: „რატომ არის, რომ გენსუიკო ამ დღეს ტრაგედიის ადგილზე არ აღნიშნავს? რატომ არის, რომ გენსუიკოს ლიდერი და „უცხოელი დელეგატები“, რომლებიც მისი სტუმრები აღმოჩნდნენ ამ ქვეყანაში, დღეს ხიროსიმელებთან ერთად არ არიან. არ არიან იმათთან, ვინც თავის გმირულ ბრძოლაში მშვიდობისათვის, ატომური ბომბის წინააღმდეგ მოიპოვეს ფრედერიკ ჟოლიო-კიურის ოქროს მედალი?“. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელები სხვადასხვა, მაგრამ არც თუ ისე დამაჯერებელ პასუხს გასცემდნენ ამ შეკითხვაზე. თვით იაპონელები კი ასე ამბობენ: გენსუიკოს ხელში ჩაუვარდა იაპონიის კომუნისტური პარტიის იმ ლიდერებს, რომლებიც პეკინს არიან აყოლილი, და ისინი ახლა იყენებენ გენსუიკოს და ხალხის მასებს, რომლებიც მათ უჭერენენ თავიანთი გიწროონგარეშეთი მიზნებისათვის.

გუშინ საღამოს გენსუიკომ მოაწყო ერთ-ერთი თავისი მასობრივი ღონისძიება ოსაკაში. უფრო სწორი იქნებოდა იმის თქმა, რომ ეს ღონისძიება მოეწყო გენსუიკოს სახელით. შეკრებილ ადამიანთა მასას გაუმართეს პოლიტანბანის მორიგი გაკვეთილი იმ სტატიების მსგავსი, რომელიც ამ ბოლო დროს ჭყეანდება იაპონიის კომპარტიის ორგანოში გაზეთ „აკატატაში“. ეს იყო ანტისაბჭოთა გამოხდომების, მოსკოვის ხელშეკრულებაზე თავდასხმისა და მაღალფარდოვანი ფრაზების ნარეკი იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ამ ღონისძიების ორგანიზატორებმ კარგად გამოიყენეს გენსუიკოს პეკინელი ლაქიები — „უცხოელი დელეგატები“, რომლებმაც ცუდი სახელი მოიხვეჭეს, და მათი გამოსვლები. განსაკუთრებით ცდილობდა „საფრანგეთის წარმომადგენელი“, რომელმაც მიტინგის ტრიბუნა იმისთვის კი არ გამოიყენა, რომ მოეთხრო ფრანგი ხალხის ბრძოლის შესახებ ატომური ომის საფრთხის წინააღმდეგ, არამედ იმისთვის, რომ სახელი გაეტეხა მოსკოვის ხელშეკრულებისათვის ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ, რომელიც დიდო ხალხების, მათ შორის ფრანგი ხალხის მტკიცე ბრძოლის შედეგად.

„ხიროსიმის დღეს“ იაპონიის პრესა განსაკუთრებით აღნიშნავს მოსკოვის ხელშეკრულების მნიშვნელობას, რომელიც ერთი წლის წინათ დაიდო. თუ გადავხედავთ მოვლენებს, რომლებიც მოხდა ატომური იარაღის გამოცდის ნაწილობრივი აკრძალვის შესახებ ხელშეკრულების დადების დღიდან, წერს „ასახი“, ჩვენ შეგვიძლია მაღალი შეფასება მივცეთ იმ წვლილს, რომელიც ამ აქტმა მშვიდობის საქმეში შეიტანა. აღარ ჩანს ატომურ აფეთქებათა სოკოსმაგვარი ღრუბლები, თავიდან ავიცილეთ სასიკეთო რადიაქტიური ნალეკების შიში, რომელიც საფრთხეს უქმნიდა კაცობრიობის ჩვენსა და მომავალ თაობებს. თუმცა გრძელდება მიწისქვეშა გამოცდები, რომლებიც არ მოსდა ხელშეკრულების მოქმედების სფეროში, კოსმოსში, ატმოსფეროში და წყალქვეშ უკვე ვეღარ აფეთქებენ მეგატონურ ბომბებს და მნიშვნელოვნად არის შეზღუდული ადგირახსნილი გამალებული ატომური შეიარაღება... ჯერჯერობით ხელშეკრულება სავსებით სრულყოფილი არ არის. ჩვენ უნდა მივაღწიოთ, რომ იგი ყოველმხრივი გახდეს, რომ აიკრძალოს ატომური იარაღის გამოცდა მიწისქვეშ“.

და ეს აზრი მარტო ერთ გავლენიან გაზეთს რადი ეკუთვნის. ამ აზრს იზიარებენ იაპონიისა და მსოფლიოს სხვა ხალხების ფართო მასები.

ᲠᲐᲖᲔ ᲬᲔᲠᲓᲜᲔᲜ ᲒᲣᲨᲘᲜ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘ

ᲢᲝᲜᲙᲘᲜᲘᲡ ყურეში მომხდარ ამბებთან დაკავშირებულ ცნობებს კვლავ თვალსაჩინო ადგილი უკავია უცხოეთის პრესის ფურცლებზე. აღინიშნება, რომ შეერთებული შტატები ძალიერებენ თავიანთ შეიარაღებულ ძალებს ამ რაიონში. ლონდონის გაზეთები აქვეყნებენ ინფორმაციას: ინგლისის მთავრობამ განაცხადა, რომ მხარს უჭერს ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედებას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. **საფრანგეთის „ლიბერასიონი“** და დასავლეთის პრესის მთელი რიგი სხვა ორგანოები ბეჭდავენ ცნობებს დედამიწის ყველა კუთხიდან, რომლებიც ნათქვამია, რომ მსოფლიო საზოგადოებრიგმა აზრმა გადაჭრით დაგმო ამერიკის სამხედრო წრეების პროვოკაციები ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ინდოეთის გაზეთები აღნიშნავენ, რომ დელიში გაიმართა მძლავრი დემონსტრაცია ამერიკის საელჩოს შენობის წინ. დემონსტრანტებმა პროტესტი განაცხადეს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების წინააღმდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.



ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲐ

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲘᲜᲓᲝᲔᲚ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲗᲐᲜ

ᲓᲔᲚᲘ, 7 აგვისტო. (საკდესი). სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის თავმჯდომარე პ. ს. ნეპოროჟნი, რომელიც ინდოეთში იმყოფება ნეიველის თბოელექტროსადგურის პირველი რიგის ამუშავებისადმი მიძღვნილი დღესასწაულის გამო (ეს თბოელექტროსადგური საბჭოთა კავშირის დახმარებით შენდება), დელიში შეხვედა ინდოელ ჟურნალისტებს.

შეხვედრის დროს საბჭოთა მინისტრმა ჟურნალისტებს გაუზიარა თავისი მთაბეჭდილებანი ინდოეთის ენერგეტიკის საწარმოებზე, აგრეთვე უამბო მათ, თუ რა ეკონომიურ დახმარებას აღმოუჩენს საბჭოთა კავშირი ინდოეთს ენერგეტიკისა და ირიგაციის დარგში. საუბრის დროს მან უპასუხა ჟურნალისტთა მრავალ შეკითხვას სსრ კავშირში ენერგეტიკის განვითარების შესახებ. ნეპოროჟნი მზაზგასმით აღნიშნა, რომ ეროვნული ენერგეტიკული ბაზის გაფართოებისა და განმტკიცების საქმეში ინდოეთს შეუძლია ყოველთვის ჰქონდეს საბჭოთა კავშირის მეგობრული დახმარების იმედი.

ᲛᲝᲙᲚᲔ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

□ **ᲑᲣᲔᲜᲡᲐᲘᲠᲘᲡ** შტატის პოლიტიკურმა პოლიციამ დაპატიმრა ბრაზილიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი მარიო ალვესი. დაპატიმრებული არიან აგრეთვე ბრაზილიის კომუნისტური პარტიის მთელი რიგი სხვა ხელმძღვანელები.

□ **ᲚᲐ-ᲜᲐᲜᲨᲘᲡ** სრუტეში ერთმანეთს დაეჯახნენ ინგლისის სავაჭრო გემი „გერნსი კოუსტი“ და ლიბერიის გემი „კეტჩერი“. დაჯახების შედეგად ინგლისის გემი ჩაიძირა, მისი ეკიპაჟი გადაარჩინეს.

□ **ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ** ფედერაციული რესპუბლიკის საწარმოებში უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მოხდა 24 მილიონი უბედური შემთხვევა, რომელთა შედეგად დაიღუპა 60 ათასი კაცი. (საკდესი).

ᲛᲔᲙᲝᲑᲠᲔᲔᲑᲘ „ᲬᲘᲜᲐ ᲮᲐᲖᲖᲔ“

ეს ორი ფოტოსურათი თანამედროვე მეკობრეებზე მოგვითხრობს. არ გეგონოთ, რომ წარსული საუკუნეების მსგავსად ისინი შავი დროშის ქვეშ აკეთებდნენ თავიანთ შავბნელ საქმეებს. სრულებითაც არა — მათ შეერთებული შტატების ვარსკვლავებიანი დროშა იფარავს.

„მეშვიდე ფლოტი აზიაში ჩვენი თავდაცვის წინა ხაზია“ — ამაყად აცხადებს ვაშინგტონური ჟურნალი „პერეიდი“. იგი რამდენიმე გვერდს უთმობს პენტაგონის ამ დამკვრელ ძალას წყნარ ოკეანეში და გულუბრყვილო ამერიკელებს არწმუნებს, რომ მათი უშიშროების ბედი ამერიკისაგან ათასობით მილის დაშორებით, ოკეანის გაღმა მხარეს წყდება. სინამდვილეში ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი აგენტების ამ მოქმედებამ უაღრესად საშიში მდგომარეობა შექმნა ინდოჩინეთში და საფრთხე შეუქმნა მშვიდობასა და უშიშროებას დედამიწის ამ ნაწილში.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ნათქვამია წერილში, მტკიცე პროტესტს აცხადებს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უხეში დარღვევის წინააღმდეგ, რომელიც ჩაიდინეს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ და მისმა სამხრეთვიეტნამელმა და ლაოსელმა დამჭაშებმა. ეს არის ვიეტნამისა და ლაოსის შესახებ ჟენევის 1954 წლისა და 1962 წლის შეთანხმებათა დარღვევა. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თხოვა ინდოჩინეთისა და ლაოსის სახალხოებზე ჟენევის თათბირების თავმჯდომარეებსა და მონაწილეებს, აგრეთვე ქვეყნებს, რომლებიც წარმოდგენილი არიან საერთაშორისო კომისიაში, დაუყოვნებლივ განახორციელონ გადამწყვეტი ღონისძიებანი იმისათვის, რომ აიძულონ ამერიკის შეერთებული შტატები და მათი მარიონეტები პატივი სცენ, აგრეთვე ზუსტად დაიცვან ჟენევის 1954 წლის შეთანხმებანი ვიეტნამისა და ლაოსის შესახებ და დაუყოვნებლივ მოუღონ ბოლო საშიშ პროვოკაციებს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲔᲡ ᲜᲓᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲡ

ᲠᲝᲛᲘ, 7 აგვისტო. (საკდესი). იტალიის დეპუტატთა პალატამ დაამთავრა მოროს ახალი მემარცხენე-ცენტრისტული თავრობისადმი ნდობის საკითხის განხილვა. ხმის უმრავლესობით პალატამ ნდობა გამოუცხადა მთავრობას.

კენჭისყრის შედეგი წინასწარ იყო გადაწყვეტილი, ვინაიდან ოთხ პარტიას, რომლებმაც მოილაპარაკეს მთავრობის შექმნის შესახებ, აქვთ დეპუტატთა ადგილების უმრავლესობა.

ᲩᲐᲜᲙᲐ



8 აგვისტო ფიზკულტურელის საკავშირო დღეა

სიჭაბუკის, ძალღონის, სილამაზის ზეიმი

დღეს საბჭოთა ხალხი ფართოდ აღნიშნავს ფიზკულტურელის საკავშირო დღეს.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის განუხრელი ზრუნვის შედეგად საბჭოთა ფიზიკური კულტურა და სპორტი მსოფლიოში ყველაზე მასობრივი და პროგრესული გახდა. სწორედ ამან განაპირობა ის უდიდესი წარმატებები, რომლებიც დღეს ჩვენს სპორტსმენებს მოეპოვებათ.

საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობა და სპორტი მოწოდებულია აღზრდოს ყოველმხრივ განვითარებული ახალი თაობა, რომელშიც ჰარმონიულად იქნება შეხამებული სულიერი სიმდიდრე, ზნეობრივი სიწმინდე და ფიზიკური სრულყოფა.

ჩვენი დიადი ქვეყნის მრავალმილიონიანი ფიზკულტურულ არმიასთან ერთად საქართველოს ფიზკულტურელები და სპორტსმენები მაღალი მაჩვენებლებით ხედებიან თავიანთ ზეიმს — ფიზკულტურელის საკავშირო დღეს. **ფიზკულტურული შვიდწლედი ექვს წელში!** ეს მოწოდება დღეს ჩვენში საბრძოლო ლოზუნგად ყიურს და მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს ფიზკულტურელებმა და სპორტსმენებმა სასახელოდ იშრომეს, რათა შეექმნათ რეალური წანამძღვრები შვიდწლედის ვადაზე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

პირველ რიგში აღსანიშნავია ის მიღწევები, რომლებიც რესპუბლიკას ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობის საქმეში აქვს. საკმარისია ითქვას, რომ მარტო გასულ წელს საქართველოში ჩატარებულ სხვადასხვა შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 1,5 მილიონზე მეტმა კაცმა. ამჟამად რესპუბლიკაში მოქმედებს 6.318 ფიზკულტურის კოლექტივი, რომლებშიც 800 ათასზე მეტი ფიზკულტურელია გაერთიანებული. თუ გავითვალისწინებთ ათასობით ადამიანსაც, რომლებიც ჯანმრთელობის ჯგუფებში, საწარმოო ტანვარჯიშში, ტურიზმში, ნადირობაში, თევზაობაში არიან ჩაბმულნი, აღმოჩნდება, რომ საქართველოს მოსახლეობის მეოთხედზე მეტი მისდევს ფიზკულტურასა და სპორტს. ამ მრავალრიცხოვანი არმიის ძირითად წარმმართველ ძალას წარმოადგენს ის 85 ათასი საზოგადოებრივი ფიზკულტურული აქტივისტი, რომლებიც დღეისათვის ჩვენს რესპუბლიკას ჰყავს. მათ შორის 31 ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწეა, 80 — სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, 138 — სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

ამ მიღწევებში თავი გამოიჩინეს 1. თბილისის, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ, ქუთაისის, რუსთავის, მახარაძის, ზუგდიდის, სიღნაღის, ხაშურის, ბორჯომის, გორის, ცხაკაიასა და სხვა ქალაქებისა და რაიონების ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა.

განვლილი 5 წლის მანძილზე საქართველოში აღიზარდა ათასამდე სპორტის ოსტატი, ათიათასობით თანრიგოსანი, და მშთ ნიშნოსანი. ამას დაემატება მომდინარე წელს შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის გათვალისწინებული 300 სპორტის ოსტატის, 2 ათასამდე პირველთანრიგოსნისა და სხვა თანრიგების მქონე 57 ათასი სპორტსმენის მომზადება.

წლითიწლობით იზრდება საქართველოს სპორტსმენთა ოსტატობის დონე და მათი ხვედრითი წონა საერთაშორისო და საკავშირო ასპარეზზე ჩვენი ქვეყნის ნაკრებ გუნდებში. მარტო გასულ წელს ჩვენმა სპორტსმენებმა დაამყარეს რესპუბლიკის 231, საბჭოთა კავშირის 3 და მსოფლიოს 1 რეკორდი. ამავე წელს, ჯერ კიდევ სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადამდე, საქართველოს 23 წარმომადგენელი გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ხოლო 52 — საკავშირო პირველობათა პრიზიორი. მათ მიერ მოპოვებულია 32 ოქროს, 16 ვერცხლისა და 27 ბრინჯაოს მედალი. III სპარტაკიადაზე ქართველმა სპორტსმენებმა ამ „ნადავლს" დაუმატეს მოზრდილთა შორის 8 ოქროს, II ვერცხლისა და 24 ბრინჯაოს მედალი, ხოლო მოზარდთა (მოსწავლეთა) შორის — 20 ოქროს, 12 ვერცხლისა და 15 ბრინჯაოს მედალი. სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ: მოჭიდაველები ო. ეგაძე, რ. რურუა, ზ. ბერიაშვილი, ტყვიის მსროლელები ლ. ჟურული და ა. სტროევი, ველოსიპედისტი ო. ფხაკაძე და სხვ.

საქართველოს სპორტულმა დელეგაციამ სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაზე დაიკავა **საერთო მეხუთე საპრიზო ადგილი,** ხოლო მოკავშირე რესპუბლიკათა შორის — მესამე, რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის შემდეგ.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის ბრწყინვალე გამარჯვებები, რომლებსაც რეგულარულად აღწევენ საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზობაზე ჩვენი საამაყო სპორტსმენები — მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში ქალთა შორის **ნონა გაფრინდაშვილი,** საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და რეკორდსმენი ველოსპორტში **ომარ ფხაკაძე,** მსროლელი **შ. ქველიაშვილი,** ჩოგბურთელი **ა. მეტრეველი** და სხვ.

მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ თავისუფალი და კლასიკური სტილით მოჭიდაველთა საკავშირო ჩემპიონატებში ახლახან შვიდმა ქართველმა ფალავანმა ოქროს მედლებით დაამშვენა მკერდი. აი ეს შესანიშნავი შვიდეული: თავისუფალ ჭიდაობაში — **ზ. ბერიაშვილი, გ. საღარაძე, შ. ლომიძე, ნ. გოგიბედაშვილი,** კლასიკურ ჭიდაობაში — **ო. ეგაძე, რ. რურუა, დ. გვანცელაძე.**

მოსწავლეთა III საკავშირო ზონალურ სპარტაკიადაზე საქართველოს ნორჩმა წარგზავნილებმა **საერთო გუნდური** გამარჯვება მოიპოვეს და ამასთან 10 პირველი, 7 მეორე და 3 მესამე ადგილი დაიკავეს. შესანიშნავი წარმატება მოპოვეს ჩვენმა სტუდენტმა სპორტსმენებმაც. სტუდენტთა საკავშირო თამაშებში ტექნიკურ და ჰუმანიტარულ უმაღლეს სასწავლებლებს შორის **პირველი ადგილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაიკავა,** ხოლო მეორე — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ნაკრებმა.

ფიზკულტურულ-მასობრივ და სპორტულ მუშაობაში მოპოვებული მაღალი შედეგებისათვის **ჩვენი რესპუბლიკა უკვე მეხუთე წელია ზედიზედ ჯილდოვდება სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშით.** მიმდინარე წლის გაზაფხულზე გარდამავალი წითელი დროშა გადაეცათ აგრეთვე თბილისისა და ქუთაისის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს და სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" ცენტრალურ საბჭოს, ხოლო სასატინ სიგელები — სპორტსაზოგადოება „სპარტაკის", „შრომითი რეზერვების", „დინამოს", რესპუბლიკურ და „განთიადის" ცენტრალურ საბჭოებს.

ასეთია რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების წარმატებანი, რომლებითაც ისიხი ფიზკულტურელის საკავშირო დღეს ხედებიან. **მაგრამ ამ საზეიმო დღესაც ცუდი არ იქნებოდა გაგვეხსენებინა ჩვენი მუშაობის მერე მხარე — ხარვეზები და ნაკლოვანებანი, რომლებიც ჯერ კიდევ გვაქვს და ხელს გვიშლიან წინსვლაში. აუცილებელია გავიხსენოთ ამოცანებიც, რომლებიც ჯერ კიდევ ელიან გადაწყვეტას.**

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ რესპუბლიკაში არასათანადოდ არის დანერგული **საწარმოო ტანვარჯიში, მუშა-მოსამსახურეთა ჯერ კიდევ მცირე პროცენტია გაერთიანებული ფიზიკურ კულტურასა და სპორტში,** ნელი ტემპით **მიმდინარეობს რესპუბლიკის მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის დანერგვა, არადამაკმაყოფილებელია სასპორტო ნაგებობათა და ბაზების რიცხვი.**

ამ უკანასკნელ საკითხთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ შესანიშნავი ღონისძიება — ფულადი და ნივთების ლატარიური ლატარიის გამოშვება. ლატარიის ბილეთების გავრცელება ყოველი ჩვენგანის კეთილშობილური და პატრიოტული საქმეა.

საქართველოს სპორტული წარმატებები გაცილებით მეტი იქნებოდა, რომ საერთო მაჩვენებლებს ძირს არ სწევდეს ცუდი მდგომარეობა სპორტის ზოგიერთ სახეობაში (მძლეოსნობა, ცურვა, სროლა, ცხენოსნობა, ველოსპორტი, კრივი). მიგვწყებულია სპორტის ეროვნული სახეობა — „ქართული ჭიდაობა, ცხენოსნობა, ლელობერთი.

ახლა პირველი რიგის ამოცანად დასახულია 1964-65 წლების პერიოდში უზრუნველყოფილ იქნას ფიზკულტურასა და სპორტში III-XI კლასების მოსწავლეთა 65-70 პროცენტის, პროფტექნიკურ სასწავლებლებში — 75-80 პროცენტის, ხოლო საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა 75-80 პროცენტით ჩაბმა. ამავე პერიოდში უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ფიზიკური კულტურისა და სპორტის მეცადინეობა დაიწყოს საწარმოების, მშენებლობებისა და დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა 25-27 პროცენტმა, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის სხვა დაწესებულებების მშრომელთა 23-25 პროცენტმა.

ამ ამოცანათა შესრულებაში ჩვენი საბრძოლო-სამოქმედო პროგრამაა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 12 მაისის დადგენილება — **„1963 წლის სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაში საქართველოს სსრ სპორტული დელეგაციის მონაწილეობისა და რესპუბლიკაში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ".**

ეს დადგენილება კონკრეტულ გზებს გვისახავს იმისათვის, რომ ქართული საბჭოთა სპორტი და ფიზკულტურული მოძრაობა ავიდეს კიდევ უფრო მაღალ დონეზე და ღირსეული წელილი შეიტანოს ჩვენს დიად სამშობლოში გაშლილ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

ცალკე უნდა გამოვყოთ **ტოკიოს ოლიმპიური თამაშებისათვის ყველა საბჭოთა სპორტსმენთან ერთად ქართველი ოლიმპიელების მზადების საკითხი.**

საქართველო მდიდარი ოლიმპიური ტრადიციების მქონე რესპუბლიკაა. 1952 წელს, როცა საბჭოთა სპორტსმენებმა პირველად ჩაბნეს ოლიმპიურ ასპარეზობაში, ჩვენი ქვეყნის დელეგაციაში საქართველოს 12 სპორტსმენი შედიოდა. მათგან რვამ ჰელსინკიდან 3 ოქროს, ამდენივე ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი ჩამოტანა. 1956 წელს მელბურნში 10 ქართველი ოლიმპიელი გაეშგზავნა, მათაც სამშობლოში 8 მედალი ჩამოტანეს (2 ოქროსი და 6 ბრინჯაოსი). გავიდა კიდევ ოთხი წელი, და ჩვენი რესპუბლიკის ოლიმპიელებმა, რომლებიც საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდებში გამოდიოდნენ რომის ოლიმპიადაზე, შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს: 16 წარგზავნილიდან 10-მა მოიპოვა ოლიმპიური მედალი (2 ოქროსი, 5 ვერცხლის და 3 ბრინჯაოსი) და ჩვენი სამშობლოს სპორტულ დელეგაციას 54 ჩასათვლელი ქულა მისცა.

საგულისხმოა აღინიშნოს, რომ საქართველომ, რომელიც მხოლოდ 16 სპორტსმენით მონაწილეობდა რომის ოლიმპიურ თამაშებში, მოპოვებული მედლებისა და საპრიზო ადგილების მიხედვით გაუსწრო ისეთ სახელმწიფოებს, როგორიც არიან: საფრანგეთი, ავსტრია, ესპანეთი, კანადა, ბრაზილია, არგენტინა, ინდოეთი და სხვა ქვეყნები.

მაგრამ ყველაფერი ეს წარსულია. წინ კი ახალი „ოლიმპიური ზღუდეა" — ტოკიო! ახლა მთელი ჩვენი საქმიანობა მიმართულია ამ მიჯნის დასაძლევად, ტოკიოში ჩვენი ქვეყნის წარგზავნილთა ახალი გამარჯვებების უზრუნველსაყოფად.

ჩვენმა რესპუბლიკამ კვლავ გამოიჩინა თავი წიხასოლიმპიადო სამზადისის პროცესში. საკმარისია ითქვას, რომ საქართველოს 40-ზე მეტი სპორტსმენი გახდა საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრები გუნდების წევრობის კანდიდატი. ეს სარეკორდო ციფრია! რა თქმა უნდა ტოკიოში ამ კანდიდატებიდან მხოლოდ საუკეთესოები წავლენ, მაგრამ ერთი, რომ ახლავეა ცხადი: ქართველი ოლიმპიელები სასახელოდ გაგრძელებენ თავიანთ „წინაპართა" მდიდარ ტრადიციებს, გაამრავლებენ მრპოვებულ გამარჯვებათა რიცხვს და კვლავაც ღირსეულ წელილს შეიტანენ ჩვენი ქვეყნის დელეგაციის საერთო წარმატებაში.

ჩვენი სახელოვანი პარტია მუდამ გვასწავლიდა და გვასწავლის, რომ კომუნისტური საზოგადოების ადამიანი განვითარებული უნდა იყოს არა მარტო სულიერად, არამედ ფიზიკურადაც.

რესპუბლიკის ფიზკულტურელმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა გაორკეცებული ენერგიით უნდა იმუშაონ, რათა წარმატებით განახორციელონ ჩვენი პარტიის საბრძოლო მითითებანი ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი მძლავრი განვითარების შესახებ.

უკვე დადგა დრო, რომ სერიოზულად შოვეკიდოთ სსრ კავშირის ხალხთა IV საუბილეო სპარტაკიადისათვის მზადებას. სპარტაკიადაზე საქართველოს დელეგაცია მხოლოდ სპორტის ოსტატებით უნდა იყოს დაკომპლექტებული. ამ საკითხის გადაწყვეტა სპორტის ისეთ სახეობებში, როგორიც არის ჭიდაობა, ტანვარჯიში, კალათბურთი, ჩოგბურთი და სპორტის ზოგიერთი სახეობა, სირთულეს არ წარმოადგენს, ხოლო ისეთ სახეობებში, როგორიც არის ცურვა, წყალში ხტომა, ნიჩბოსნობა, თანამედროვე ხუთჭიდი, ტყვიის სროლა, მაგიდის ჩოგბურთი, ცხენოსნობა და სხვა, ჩვენ დიდი მუშაობის ჩატარება მოგვიხდება.

წინ ვრცელი, საინტერესო, კეთილშობილური ასპარეზია — ახალი ზღუდეების დაძლევა კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანის გაკაჟებაში, ახალი თაობების აღზრდაში, ფიზკულტურულ-მასობრივ მოძრაობაში, სპორტში.

საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციები ძალასა და ენერგიას არ დაიშურებენ მათს წინაშე დასახული დიდმნიშვნელოვანი ამოცანების შესასრულებლად.





ამ სურათებზე აღბეჭდილ ადამიანთა სახელები ამშვენებენ იმ „ოქროს" სპორტსმენთა სიას, რომლებმაც მთელ მსოფლიოში გაუთქვეს სახელი საბჭოთა სპორტს.

სურათებზე: ზემოდან ქვემოთ: ნ. გაფრინდაშვილი, ა. მეტრეველი, ო. ფხაკაძე და გ. საღარაძე.

მთავარია მასობრიობა

გ. სიხარულიძე,

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის თავმჯდომარე.

საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებაში თავი ირიხა ახალმა თაოსნობამ. მხედველობაში გვაქვს თბილისის დიდმის საცხოვრებელ მასივში საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი ჯანმრთელობისა და დასვენების სახალხო კლუბის — „დილის" წარმოშობა, რომელს მასშტაბები მთელ მასივს მოიცავს. **ეს არის ჩვენს ქვეყანაში პირველი, სრულიად ახალი ტიპის მასობრივ-გამაჯანსაღებელი კერა, რომელსაც დიდი პერსპექტივა აქვს.**

საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვაში მოპოვებულია გარკვეული მიღწევები, მაგალითად, ორხმაროვის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში საწარმოო ტანვარჯიშის შედეგად შრომის ნაყოფიერება 18 პროცენტით გაიზარდა. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

საქართველო მოწინავეთა რიგებში დგას აგრეთვე უკანასკნელი წლების მანძილზე დანერგილი ფიზკულტურულ-სპორტული ძუშაობის ახალი ფორმის — საწარმოთა სპორტკლუბების შექმნის საკითხშიც. აი ისინი — „გამარჯვება", „სინათლე", „განთიადი", „კოლხიდა", „ფეიქარი". ამ სპორტკლუბებიდან სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაზე შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს „სინათლემ", „გამარჯვებამ" და „განთიადმა".

უნდა დავასახელოთ ის ადამიანებიც, რომლებიც მოწინავენი არიან შრომითს ვახტზეც და სპორტულ სარბიელზეც. ასეთნი არიან: თბილისის საკაბელო დეპოს კომუნისტური შრომის დამკვრელი, სპორტის ოსტატი ბახტაძე, თბილისის ქიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის საამქროს უფროსი, სპორტის ოსტატი პროზოროვი, ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი, პირველთანრიგოსანი მოჭიდავე ბიგვავა, სოფელ ლენტეხის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ჩართოლანი, ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი ნეფარიძე და სხვ.

ზრდის ციფრები

□ **სსრ კავშირში სისტემატურად მისდევს სპორტს 38 მილიონამდე კაცი.**

□ **38 მილიონი!** ეს სპორტის მთელი ჯავანაა. უკანასკნელ 28 წელიწადში საბჭოთა სპორტსმენების რიცხვი ათჯერ გაზიდდა.

□ **საბჭოთა კავშირში ამჟამად გავრცელებულია 60-მდე სხვადასხვა სახეობის სპორტი.** ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს მძლეოსნობა. მას 5,5 მილიონი კაცი მისდევს. ფარდოდ გავრცელებულია ფრენბურთი. ამ თამაშით გატაცებულია 5 მილიონამდე კაცი. ორ მილიონზე მეტი ფეხბურთელია. 3 მილიონ 200 ათასი კაცი ჭადრაკს თამაშობს. 2,5 მილიონამდე კაცი კალათბურთს მისდევს, ერთ მილიონამდე კაცი — სპორტულ ტანვარჯიშს.

□ **სპორტულ კლუბებში ირიცხება 4,5 მილიონი მოთხილამურე, მილიონამდე მოციგურავე და ფიგურისტი, ასეულ ათასობით — პოკეისტი.**

□ **რამდენი** სასპორტო ნაგებობაა სსრ კავშირში? ამ კითხვაზე შეუძლებელია პასუხის გაცემა ერთი ციფრით. დიდი თანამედროვე სტადიონია 2 ათასი; ფეხბურთის მინდორი 48 ათასი; ფრენბურთის მოედანი 230 ათასზე მეტი; სასპორტო დარბაზი ტანვარჯიშში მეცადინეობისათვის — 23 ათასზე მეტი.

□ **სსრ კავშირში ამჟამად 36 ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებაა. 1 მილიონ 615 ათასი სპორტული ინსტრუქტორი და საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე მწვრთნელი ამეცადინებს სპორტსმენებს მუშაობისაგან თავისუფალ დროს. სპორტულ ორგანიზაციებში ითვლება 40 ათასზე მეტი უმაღლესი განათლების მქონე და 43 ათასი საშუალო განათლების მქონე პროფესიონალი მწვრთნელი.**

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატს რესპუბლიკაში ერთ-ერთი ძლიერი ფიზკულტურული კოლექტივი ჰყავს. აქ სხვადასხვა სპორტულ სექციებში ჩაბმულია მუშა-მოსამსახურეთა 40 პროცენტზე მეტი. ამ ორი წლის წინათ კომბინატის ფიზკულტურულ კოლექტივს ფიზკულტურასა და სპორტში მოპოვებული მაღალი წარმატებებისათვის მიენიჭა სპორტული კლუბის წოდება. „ფეიქარი" — ასეთია ამ კლუბის სახელწოდება.

კომბინატის სპორტსმენები წარმატებით გამოდიან რაიონულ, საქალაქო და რესპუბლიკურ ასპარეზობებში.

სურათზე: თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის სპორტსმენთა ერთი ჯგუფი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მეხუთე ტური და მისი შედეგები

მინსკი. გაიმართა საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალის მეხუთე ტური ვაკთათვის.

პირველი წარუმატებლობა განიცადა მსოფლიოს ჩემპიონმა ნ. გაფრინდაშვილმა. მან წააგო პარტია მინსკელ ოსტატ შაგალოვიჩთან. დამარცხება განიცადა აგრეთვე გურგენიძემ სუეტინთან. მუხინმა მოუგო სავონს, ბოიარინოვმა — ნოსკოვს, ბირბრაგერმა — ზახარიანს. მიკენას-ეტრუკი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

გაფრინდაშვილ-პეტერსონის მეოთხე ტურის პარტია ყაიმით დამთავრდა, გურგენიძეს მეოთხე ტურის პარტია ზახარიანთან გადადებული აქვს მოსაგებ პოზიციაში.

ჩემპიონატები • ტურნირები • მატჩები

„პანიონიოსის" დამარცხება

ჩემპიონატის ლიდერთან მოსკოვის „ტორპედოსთან" შეხვედრის ფრედ (3:3) დამთავრების შემდეგ, ცხადია ბერძენ ფეხბურთელთა მატჩი თბილისის „ლოკომოტივთან" ყურადღების ცენტრში იდგა.

რას წარმოადგენს ეს გუნდი?

ბერძენ ფეხბურთელთა კოლექტივი ცუდ შთაბეჭდილებას, როდი სტოვებს. ისინი შესანიშნავად არიან მომზადებული ფიზიკურად, თვითეული მათგანი ბევრს მოძრაობს, მაგრამ იერიშების დროს აკლიათ სიმძაფრე, დამაგვიანებელი დარტყმების სიზუსტე.

ლოკომოტიველებმა ეს მატჩი ჩინებულად ჩაატარეს და გამარჯვებაც სავსებით კანონზომიერი იყო. წამზომს ერთი წრეც არ ჰქონდა შემოვლილი, რომ სტუმართა კარში პირველი ბურთი აღმოჩნდა. ახალკაცის დარტყმა მოიგერია მეკარემ, მაგრამ ბურთს მიუსწრო მელაშვილმა და ანგარიში გახსნა. 14 წუთის შემდეგ იაშვილმა ეფექტური ბურთი გაიტანა. ტაიმის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე სტუმრებმა წარმატებას მიაღწიეს — 2:1. გოლის ავტორი იყო აფანასულოსი.

მეორე ნახევარში ტემპიანი ბრძოლა არ შენელებულა. ბევრი იყო შესაძლებლობა, მაგრამ აქედან მხოლოდ ერთი იქნა გამოყენებული. — ალბერსიანმა მესამედ შეარხია სტუმართა კარის ბადე.

საერთაშორისო მატჩი მოიგეს ლოკომოტიველებმა 3:1.

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „პანიონიოსი" (სანერძნეთი) 3:1 (2:1). თბილისი. 7 აგვისტო. „დინამოს" სტადიონი. მსაჯი — ს. სეროფიანი (ერევანი).

„პანიონიოსი" — კურკუველესი (მანიაკისი), პაგონისი (ერმიდისი), კაუზადიდისი, ნეგრისი, დუნიასი, კარაიანანულოსი, ხაიტასი, სარავანოსი, აფანასულოსი, ვეკესი, მარნასი (ინჯოგლუ); „ლოკომოტივი" — რუხაძე, ჩხაიძე, ჩუბინიძე (ანდელაკი), წოწელია, კიზირია, მუმლაძე, შაფათავა, მელაშვილი, იაშვილი (მიროშნიკოვი), ახალკაცი, კოშკელოვი (აპრესიანი).



ტელევიზია

9 აგვისტოს

12.00 — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად" (ვარჯიშის კომპლექსი, რომელიც ყოველდღიურად გადაიცემა რადიოთი), 12.15 — მოსწავლეთათვის — მხატვრული ფილმი „იყო ერთი გოგონა", 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის — სატელევიზიო ჟურნალი „ჩვენს ოლქში", 19.05 — კინონარკვევი — „თქვენთვის, მშენებლებო", 19.10 — საერთაშორისო მიმოხილვა, 19.30 — კინონარკვევი „თოლია ლონდონში", 19.50 — სატირულ-იუმორისტული სატელევიზიო ჟურნალი „ოქროპირი", 20.25 — კინონარკვევი „სკულპტორი და დრო" (ქართული ვარიანტი), 20.45 — კონცერტი მაყურებელთა თხოვნით, 21.15 — ეხბატერული ფილმი „ორი ბატონის მსახური".

„ბ" კლასის გუნდების მატჩები

გუშინ გაიმართა რსფსრ მეოთხე ზონის გუნდების მატჩები ფეხბურთში.

შეხვედრა რუსთავში ადგილობრივი „მეტალურგისა" და ორჯონიკიძის „სპარტაკის" გუნდებს შორის დამთავრდა ფრედ 2:2.

სოხუმის „დინამომ" ლენინაკანში დაამარცხა ადგილობრივი „შირაქი" ანგარიშით 3:2.

ბათუმის „დინამო" თამაშობდა კაფანში „ლერნაგორცოსან" და წააგო მატჩი ანგარიშით 0:1.

უკვე ოთხმოცდაათოთხმეტსა

ტოკიო, 6 აგვისტო. (საკუთარი). უკვე ოთხმოცდათოთხმეტმა ქვეყანამ გამოთქვა სურვილი, რომ მონაწილეობა მიიღოს ტოკიოს XVIII ოლიმპიურ ასპარეზობაში. ეს განაცხადა ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაზე კომიტეტის გენერალურმა მდივანმა სიგერუ იოსასმა.

ჰიპოთეზები, ვარაუდები, ძიება

მთვარე ახლოდან

დედამიწის გუნებრივი თანამგზავრის კვლევა გრძელდება

ამერიკის შეერთებული შტატებიდან მოვიდა ცნობა კოსმოსური ხომალდი „რეინჯერ-7"-ის ფრენის პროგრამის წარმატებით შესრულების შესახებ. 31 ივლისს 13 საათსა და 25 წუთზე გრინვიჩის დროით „რეინჯერ-7" 68 საათისა და 35 წუთის ფრენის შემდეგ 7,5 ათასამდე კილომეტრი სიჩქარით შეიჭრა მთვარის ზედაპირში „ღრუღლების ზღვის" რაიონში დედამიწისაკენ მომართულ მხარეზე.

შეჭრამდე 15 წუთის წინ, როცა ხოშალდი მთვარიდან 1800 კილომეტრამდე მანძილზე იმყოფებოდა, დედამიწიდან მიცემული სიგნალით ჩართულ იქნა მის ბორტზე დადგმული ექვსი სატელევიზიო კამერა — სამ მათგანს ჰქონდა ფართოკუთხეებიანი ობიექტივები და სამ — ტელესკოპური ობიექტივები. 15 წუთის განმავლობაში მიღებულ იქნა მთვარის ზედაპირის 4 ათასამდე ფოტოსურათი. უკანასკნელი სურათი „რეინჯერ-7"-დან გადაღებულ იქნა როცა კოსმოსური ხომალდი მთვარის ზედაპირიდან დაახლოებით ერთ კილომეტრზე იყო.

მთვარისაკენ გზა, როგორც ცნობილია, პირველებმა საბჭოთა რაკეტებმა გაკვალეს. „ზვიმების ზღვის" რაიონში არქიმედის, ავტოლიკისა და არისტილის კრატერების მახლობლად ჯერ კიდევ 1959 წლის სექტემბრიდან არის საბჭოთა კავშირის ალმები, რომლებიც იქ საბჭოთა კოსმოსურმა რაკეტამ მიტანა 1959 წლის 14 სექტემბერს.

მთვარის სხვადასხვა მასშტაბის პირველი ფოტოსურათები გადაიღო საბჭოთა ავტომატურმა საპლანეტათშორისო სადგურმა ხუთი წლის წინათ. საბჭოთა ავტომატურმა საპლანეტათშორისო სადგურმა, რომელსაც ჰქონდა სამეცნიერო აპარატურის რთული კომპლექსი, მათ შორის ფოტოგრაფიული და სატელევიზიო აპარატურა, 1959 წლის ოქტომბერში ახლოს გაუარა მთვარეს მისი უკანა, დედამიწიდან უხილავი მხარიდან, ხოლო სადგურის ორიენტაციის სისტემამ შესაძლებელი გახადა მთვარის ზედაპირის ამ ნაწილის ფოტოგადაღება.

ფოტოგადაღება ორმოც წუთს გრძელდებოდა. შემდეგ სადგურის ბორტზე წარმოებდა ფოტოაფსკის ავტომატური დამუშავება, გამოვლენა, ფიქსირება, გარეცხვა და გაშრობა. სადგურის ბორტზე მიღებული ნეგატიური გამოსახულებანი მთვარისა იქცეოდა ელექტროსიგნალებად, რომელთა გადაცემა დედამიწაზე წარმოიდგა რადიოტელევიზიის სისტემის შემწეობით.

მიწისზედა აპარატურით მიღებული სიგნალების შემდგომი დამუშავების შედეგად საბჭოთა მეცნიერებმა შეძლეს მსოფლიოში პირველად მიეღოთ მთვარის იმ მხარის გამოსახულებანი, რომელიც დედამიწიდან არა ჩანს. შემდეგ შედეგნილ იქნა მთვარის უკანა მხარის წარმოსაქმნთა კატალოგი. გამოვლინებულ იქნა 498 ობიექტი მეტ-ნაკლები უტყუარობით. შედეგნილ იქნა მთვარის უკანა მხარის რუკა, რომელიც დაამტკიცა საერთაშორისო ასტრონომიულმა კავშირმა. 1960 წელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ სპეციალურ გამოცემად გამოუშვა „მთვარის უკანა მხარის ატლასი". მსოფლიოში პირველად საბჭოთა კავშირში გაკეთდა მთვარის გლობუსიც.

საბჭოთა რაკეტების მიერ გაკვალული პირველი კოსმოსური ტრასებით მთვარისაკენ გაქანებულ ამერიკული რაკეტებიც. საბჭოთა მეცნიერებს უსარგებლოდ, რომ რაკეტების საშუალებით მთვარის გამოკვლევაში სსრ კავშირის მიერ მიღწეულ წარმატებებს დაემატა მათი ამერიკელი კოლეგების წარმატებები.

ახლო მანძილიდან მთვარის ზედაპირის სურათების მიღება ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერთა უსათუოდ დიდი ეროვნული მიღწევაა მათი „მთვარის პროგრამის" განხორციელებაში.

იოლი როდი იყო ეს გზა. კოსმოსური ხომალდის „რეინჯერ-7"-ის გაფრენა — ეს არის ამერიკელთა მეცამეტე — 1958 წლიდან დაწყებული— ცდა გაეშვათ კოსმოსური ხომალდი მთვარეზე. შვიდჯერ დამთავრდა მარცხით მათი ცდა მთვარის ზედაპირი გადაეღოთ ახლო მანძილიდან.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მთვარისაკენ რაკეტა პირველად გაუშვეს 1958 წლის 17 აგვისტოს. მაგრამ რაკეტა „ტორ-ეიბლი" აფეთქდა გაშვების 77 წამის შემდეგ. ამის შემდეგ 1958-1960 წლების მანძილზე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მთვარისაკენ გაუშვეს კოსმოსური აპარატები „პიონერი". მაგრამ ცხრა გაშვებული რაკეტიდან მხოლოდ ერთმა („პიონერი-4") 60 ათას კილომეტრ მანძილზე ჩაუარა მთვარეს (ნაცვლად ნაგარაუდევი 25-30 ათასისა) და ვერ შეასრულა დასახული დანიშნულება.

უკვე იმ წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში ცდილობდნენ რაკეტების საშუალებით მიეღოთ მთვარის სატელევიზიო გამოსახულება. მაგალითად, რაკეტებზე „პიონერი-1" და „პიონერი-6", რომლებმაც ვერ მიაღწიეს გაანგარიშებულ სიჩქარეს, დედამიწაზე დაბრუნდნენ და ატმოსფეროში დაიწვნენ, სხვა ხელსაწყოთა შორის იყო ფოტოგრაფიული და სატელევიზიო აპარატურა დედამიწაზე მთვარის გამოსახულებათა გადასაცემად.

ამერი